პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 294 (13110) | ხუთშაბათი, 17 დეკემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

მალე გვესტუმრება ახალი, 1965 წელი

★

რით ეგებებით ახალ წელს?

★

შრომით ვაღიღოთ დედასამშობლო, მიუძღვნათ მას ჩვენი საახალწლო ნობათი!

დაკვეთები — ვადამდე

რუსთავი. (საკ. კორ.). უწინარეს ყოვლისა ქიმიის დაკვეთები! — ასეთი დევიზით მუშაობენ რუსთავის სარემონტო-მექანიკურ ქარხანაში, სადაც ასრულებენ რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებელ-მემონტაჟეთა დაკვეთებს.

ამ დღეებში კომუნისტური შრომის იმ ბრიგადამ, რომელსაც ვ. ბერვინენკო ხელმძღვანელობს მშენებლობისათვის გაამზადა სასწრაფო დაკვეთა — 40 ათასი ცალი ხმაჩამხშობი პერიფერიული პანელი.

მჭედლთა ბრიგადამ კ. ქიტოშვილის ხელმძღვანელობით ვადაზე ორი დღით ადრე შეასრულა ქიმიკოსთა დაკვეთა გალერეის სამაგრი მასალების დამზადებაზე.

დროს გაუსწრეს

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა შვიდწლედის მე-6 წლის მიჯნაზე შრომის კიდევ უფრო მაღალი ტემპი აიღო, რათა წლიური დავალება ყველა სახეობის მიხედვით ვადაზე ადრე განაღოს და გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცეს რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქცია.

ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის საწარმოო გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 122 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, საყოფაცხოვრებო პროდუქციის წარმოების დავალება შესრულებულია 104,7 პროცენტით. ამავე დროისათვის შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმით გათვალისწინებულს 4,1 პროცენტით გადააჭარბა. ნედლეულის ეკონომიის და შრომის ნაყოფიერების ზრდით მიღწეულია 41 ათასი მანეთის ზეგეგმითი დაგროვება.

საწარმოს ამ საერთო წარმატებაში თავიანთი შრომითი წვლილი შეაქვთ ბრიგადებს, რომლებმაც დროს გაუსწრეს და პროდუქციას ახლა მომავალი წლების ანგარიშში იძლევიან. ა. მანუკოვის ბრიგადა 1967 წლის ანგარიშში მუშაობს, ხოლო კ. მაკოროვის ბრიგადა პროდუქციას იძლევა 1966 წლის ანგარიშში. გ. სტეფნოვისა და მ. ბელეკოს ბრიგადები რამდენიმე თვეა პროდუქციას მომავალ წლის ანგარიშში უშვებენ.

ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲢᲐᲙᲘ

როგორც ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების უფროსი ვ. არდოსანიძე და პროფკავშირის თავმჯდომარე ვ. აჩეიშვილი გვატყობინებენ, განყოფილების კოლექტივმა, რომელიც კომუნისტური შრომის საპატიო სახელის მოპოვებისათვის იბრძვის, 7 დეკემბერს შეასრულა დატვირთვის წლიური გეგმა.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

შვიდწლედის მოწინავენი

წლიური გეგმა შესრულებულია

საჩხერის საწარმოო სამმართველოს მშრომელებმა ვადაზე ადრე — 15 დეკემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტის მიყიდვის წლიური გეგმები.

— სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 109 პროცენტით, რძისა — 100,1 პროცენტით, ხოლო კვერცხისა — 100 პროცენტით, — აცნობეს რედაქციას საჩხერის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბრეგვაძემ, სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. იაკობაშვილმა და რაისამბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. თ. შაორშაძემ.

ᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲕᲖᲠᲓᲘᲓᲔᲗ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲪᲕᲚᲐᲡ

საბჭოთა სკოლამ მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის დიდი გამოცდილება შეიძინა. უდავოა მისი წარმატებანი. მაგრამ ცხოვრება წინ მიდის. სულ უფრო იზრდება მოთხოვნები, რომლებსაც უყენებენ სკოლას პარტია, ხალხი.

„კომუნიზმზე გადასვლა, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — გულისხმობს კომუნისტურად შეგნებული და დიდად განათლებული ადამიანების აღზრდასა და მომზადებას, რომლებსაც უნარი ექნებათ ეფექტურად როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ შრომას, აქტიურ საქმიანობას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში, მეცნიერებისა და კულტურის დარგში“.

საბჭოთა სკოლა მოწოდებულია ზრდიდეს ასეთ ადამიანებს. ამისათვის კი საჭიროა დაუცხრომლად ვაუმჯობესებდეთ სწავლების პროცესს, ყოველი ღონისძიებით ვამაღლებდეთ აღმზრდელობითი მუშაობის დონეს სახალხო განათლების მთელ სისტემაში.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში რამდენადმე შესუსტდა ყურადღება მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებისადმი. პრესაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ მათი ცოდნა ზოგჯერ არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს. ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რომ აღმოფხვრათ ასეთი ჩამორჩენა.

მაგრამ არ კმარა შევიარაღოთ ქალიშვილები და ჭაბუკები მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა ცოდნით. საბჭოთა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულს უნდა ახასიათებდეს შრომისმოყვარეობა, კოლექტივიზმის გრძნობა, სიმტკიცე და პრინციპულობა, ღრმა იდეურობა, ზნეობრივი სიწმინდე, ჩვენი საზოგადოების მაღალი მორალური პრინციპების ერთგულება. ეს თვისებები თავისთავად როდი წარმოიშობა. თვითეული პედაგოგიური კოლექტივის საპატიო მოვალეობაა ბავშვობიდანვე შთაუნერგოს და განუვითაროს ისინი თავის აღსაზრდელებს.

აღმზრდელობითს მუშაობაში არ შეიძლება იყოს მზა რეცეპტები. უნარიანი მასწავლებელი იყენებს თვითეულ შესაძლებლობას, რომ აქტიური გავლენა მოახდინოს ბავშვთა შეხედულებების, ჩვევების, ხასიათის ჩამოყალიბებაზე. ყოველ გაკვეთილზე, ისტორია იქნება ეს, ლიტერატურა, გეოგრაფია, ბიოლოგია თუ სხვა საგანი, მოსწავლეები არა მარტო ამა თუ იმ ცოდნას იღებენ. კარგად აგებული გაკვეთილი აუცილებლად შეიცავს აგრეთვე საადმზრდელო დატვირთვას, ასწავლის გარემო სინამდვილის სწორად გაგებას, მოვლენებისა და ვითარების შეფასებას. ასე ორგანულად ერწყმის სწავლება აღზრდას.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთილებს. ამ საგნის შესწავლა შეაძლებლობას გვაძლევს განვაზოგადოთ და გავაფართოოთ სხვა გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა, ჩამოვაყალიბოთ ეს ცოდნა კომუნისტური მსოფლმხედველობის მწყობრ სისტემად. საზოგადოებათმცოდნეობის ბევრი მასწავლებელი ოსტატურად აკავშირებს სწავლებას ცხოვრებასთან, მკაფიო მაგალითებითა და ფაქტებით განმარტავს დიდმნიშვნელოვან თეორიულ დებულებებს, უნერგავს ახალგაზრდობას ღრმა მარქსისტულ-ლენინურ რწმენას.

მოსწავლეები გაკვეთილებზე დღის მხოლოდ ნაწილს ატარებენ. და სკოლა გულგრილი ვერ იქნება იმისადმი, თუ რას აკეთებენ მისი აღსაზრდელები საკლასო მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს. სწორად იქცევიან პედაგოგიური კოლექტივები, რომლებიც ცდილობენ ამ პერიოდშიც მხედველობის არეში იყოლიონ მოსწავლეები. ამისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიან გახანგრძლივებული დღის სკოლები და ჯგუფები, რომლებიც სულ უფრო ფართოდ ვრცელდება. მაგრამ ბავშვთა ძირითადი მასა ჯერ კიდევ ჩაბმული არ არის გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში. აი რატომ აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა იმას, რომ ყველგან მოვაწესრიგოთ მუშაობა როგორც უმცროსი, ისე უფროსკლასელებთან მათი დასვენების საათებში. ასეთი მუშაობის ფორმები მრავალია — ეს არის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, წრეები და ელექტროიუმები, ექსკურსიები და კულტლაშქრობები, სპორტული შეჯიბრებანი, ნორჩ მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები წარმოების მოწინავეებთან, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან.

მაგრამ იქაც, სადაც თითქოს წარმოების აღმზრდელობითი მუშაობა, ხშირად მას ფორმალიზმი ახასიათებს. ცალკეულ პედაგოგიური კოლექტივები ცდილობენ „მასობრივად მოიცვან“ ბავშვები და მოზარდები, ხოლო ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, თუ როგორია შესაბამის ღონისძიებათა შინაარსი, რა გავლენას ახდენენ ეს ღონისძიებანი ბავშვებზე.

აღზრდაში თვითეული შეცდომა კი უშედეგოდ როდი რჩება. შემთხვევითი არ არის, რომ მოზარდებში, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებში აქაიქ ვხვდებით მუქთახორებს, ეგოისტებს, უქნარებს, დებოშირებს, ზოგჯერ კი სამართლის დამრღვევებსაც. თვითეული ასეთი ფაქტი მოითხოვს ყურადღების დაძაბვას, უნდა აღვიქვათ როგორც შეუწყნარებელი წუნი პედაგოგიურ მუშაობაში.

რასაკვირველია, სკოლა პასუხს აგებს ყოველი თავისი აღსაზრდელის ქცევისათვის. მაგრამ სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მშობლებსაც. აღზრდა იწყება სკოლამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სწორედ ოჯახში. დედ-მამის პირადი მაგალითი, მათი შეხედულებანი, ურთიერთობა, ოჯახური ვითარება დიდ გავლენას ახდენს ბავშვებზე. მშობლითა პირდაპირი მოვალეობაა თავიანთ ბავშვებს უნერგავდნენ შრომისა და ცოდნის მოყვარეობას, პატიოსნებას, საზოგადოების წინაშე მოვალეობის შეგნებას, ერთი სიტყვით, ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მასწავლებელს მის აღმზრდელობითს მოღვაწეობაში.

რასაკვირველია, არავინ არ ფიქრობს, რომ მთელი აღმზრდელობითი მუშაობა მხოლოდ მასწავლებლებს უნდა დაეკისროს.

ავიღოთ, მაგალითად, ისეთი საკითხები, როგორიც არის მოსწავლეთა დისციპლინის, სკოლის შინაგანაწესის განმტკიცება. აქაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ მშობლებს, საწარმოების, სახლმმართველობების, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. ისინი ყოველნაირად უნდა უჭერდნენ მხარს მასწავლებელს მის მაღალ მოთხოვნებში მოსწავლეებისადმი. მასწავლებელს ბევრი თანაშემწე ჰყავს თვით სკოლაშიც. ჩვენი ქვეყნის ყველა კომკავშირელის დაახლოებით მეოთხედი ნაწილი მოსწავლეები არიან.

სკოლის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა უფრო აქტიური და ქმედითი იქნებოდა. ხელმძღვანელი კომკავშირული ორგანოები უფრო ღრმად რომ სწვდებოდნენ მის შინაარსს, სკოლების პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელობის საქმეს ზოგჯერ კომიტეტების ცალკეულ მუშაკებს რომ არ გადააკისრებდნენ ხოლმე. სკოლის პარტიული ორგანიზაციები, დირექტორები, კლასის ხელმძღვანელები, მასწავლებლები ყოველთვის საქმის ცოდნით როდი მუშაობენ კომკავშირელებთან ერთად.

ჩვენს სკოლებს მოსწავლეთა სწორ აღზრდაში ეხმარებიან სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა. ავიღოთ, მაგალითად, დედაქალაქის მოსკვორეცკის რაიონი. აქ თითქმის ვერ ნახავთ საწარმოს, სადაც ოჯახისა და სკოლის ხელშემწყობი საბჭო არ მუშაობდეს. მუშები და მოსამსახურეები ბავშვების ხშირი სტუმრები არიან. მოსწავლეებიც თავის მხრივ ხშირად არიან საამქროებში, წარმოების მუშაკებს უზიარებენ თავიანთ წარმატებებს სწავლაში. უფროსკლასელები ქარხნის კომკავშირელთა ბევრი თაოსნობის მონაწილენი არიან, ხოლო საუკეთესო ახალგაზრდა მუშები — ხელმძღვანელები პიონერთა რაზმებში.

მაგრამ ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ფაქტები, როდესაც ზოგიერთი შეფი საწარმო და დაწესებულება თავს არიდებს პედაგოგიური კოლექტივების საქმეს, სჯერდება მხოლოდ იმას, რომ სკოლას ეხმარება ამა თუ იმ სარემონტო სამუშაოებით, სასწავლო სახელოსნოების მოწყობით. დაახლოებით ასეთივე პოზიცია უჭირავთ ხშირად პროფკავშირულ ორგანიზაციებსაც. სკოლის მუშაობაში თავიანთ მონაწილეობას ისინი ზოგჯერ მხოლოდ იმით ზღუდავენ, რომ აწყობენ ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელ კამპანიებსა და საახალწლო დღესასწაულებს.

სკოლა იდეოლოგიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბანია. და იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები გულდასმით სწვდებიან პედაგოგიური კოლექტივების საქმეს, გულმოდგინედ განიხილავენ ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის საკითხებს, აყენებენ ღონისძიებით განსაკუთრებულ სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის თანამეგობრობას, იქ წარმატებით წყდება კომუნიზმის მშენებელთა ცვლის სწავლებისა და აღზრდის ამოცანები.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

15 დეკემბერს კონგოს (ლეოპოლდვილი) დიპლომატიური წარმომადგენელი სსრ კავშირში ნგამბანი მიიწვიეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მას განუცხადეს შემდეგი:

მოსკოვში ყურადღება მიაქციეს იმას, რომ კონგოს (ლეოპოლდვილი) დიპლომატიური წარმომადგენელი სსრ კავშირში მწევა მტრულ მუშაობას საბჭოთა კავშირის მიმართ. ეს მტრული საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც კონგოში (ლეოპოლდვილი) ხელისუფლება მიიტაცა იმპერიალისტთა დაყენებულმა კაცმა მ. ჩომბემ, რამაც გამოიწვია კონგოელ ხელისუფალთა მხრივ მტრული, ცილისმწამებლური კამპანიის გაძლიერება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მისი იმ მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის მიზანია მეგობრული ურთიერთობისა და ძმური თანამშრომლობის განვითარება აფრიკის ხალხებთან.

კონგოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ჩაიდინა აგრეთვე შეუწყნარებელი მოქმედება საბჭოთა მოქალაქეების მიმართ.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო საბჭოთა მთავრობას შეუძლებელად მიაჩნია კონგოს (ლეოპოლდვილი) დიპლომატიური წარმომადგენლის შემდგომი ყოფნა მოსკოვში.



მშვიდობისათვის მებრძოლთა ხმა

პარიზი, 16 დეკემბერი. (საკდესი). მშვიდობისათვის მებრძოლთა ბევრი ეროვნული ორგანიზაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, რომლებიც პარიზში ჩამოვიდნენ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭოს სესიასთან დაკავშირებით, გუშინ პრეს-კონფერენციაზე დაგმეს ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის გეგმები.

ბელგიის მშვიდობის დაცვის კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ი. ბლუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობას დიდ საფრთხეს უქმნის ეს გეგმები. ეს გეგმები, თქვა მან, შესაძლებლობას აძლევს დასავლეთ გერმანიის რევანშისტულ ძალებს ხელი იგდონ ატომური იარაღი. სიგიჟე იქნება, მიეცეთ ატომური იარაღი იმათ, ვინც აცხადებს, რომ ხელს არ აძლევს გერმანიის ახლანდელი საზღვრები.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგატმა პასტორ ვენერმა განაცხადა, რომ მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნა გააძლიერებს საერთაშორისო ვითარებას. დასავლეთ გერმანიის მშვიდობის მომხრენი, თქვა მან, მოითხოვენ შეიქმნას უატომო ზონა ცენტრალურ ევროპაში.

პრეს-კონფერენციაზე გამოვიდნენ აგრეთვე თვალსაჩინო კანადელი საზოგადო მოღვაწე და მშვიდობისათვის მებრძოლი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი ჯეიმს ენდიკოტი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი რაიმონ გიეთი, ინგლისის მაღაროელთა ეროვნული კავშირის მაღაროელთა წარმომადგენელი მ. სკინნერი და სხვები.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ბომბეი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის კომუნისტური პარტიის VII ყრილობა განაგრძობს ინდოეთის კომპარტიის პროგრამის პროექტის განხილვას. დელეგატებს შეაქვთ წინადადება უფრო ნათლად აისახოს პროგრამის პროექტში ინდოეთის მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი ინდოეთის კომპარტიის მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მიიღო რეზოლუციები: „ინდოეთი და ატომური ბომბი“, „მდგომარეობა სამხრეთ აფრიკაში, სამხრეთ როდეზიასა და პორტუგალიის კოლონიებში.

ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲮᲔᲒᲐ

ნიუ-იორკი, 16 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ამერიკის ელჩი კონგოში მ. გოდლი სასწრაფოდ წავიდა ლეოპოლდვილიდან ვაშინგტონში. როგორც ლეოპოლდვილიდან იუწყებიან, გოდლი „საკონსულტაციოდ“ გამოიძახა სახელმწიფო დეპარტამენტმა.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

რომი, 16 დეკემბერი. (საკდესი). დღეს იტალიის პარლამენტში დაიწყო ამ ქვეყნის ახალი პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური.

წინანდელი პრეზიდენტი ა. სენი გადადგა ავადმყოფობის გამო.

ᲡᲐᲒᲖᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲗ

□ გდანსკის გემთსაშენში დამთავრდა თბომავალ „მოეიისის“ მშენებლობა საბჭოთა კავშირის შეკვეთით. უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში პოლონეთის გემთსაშენებელმა მრეწველობამ საბჭოთა კავშირის შეკვეთით ააგო 350-მდე გემი, რომელთა საერთო ტონაჟია 1.100 ათასი ტონა, მათ შორის 200-მდე სატრანსპორტო და 150 თევზსაჭერი გემი.

□ კომპანია „ისიკავაჯიმა-ხარიმა ძიუკოგიოს“ გემთსაშენში ხიოგოს პრეფექტურის ქალაქ აიოში (იაპონია) გაიმართა საბჭოთა კავშირისათვის ტანკერ „ლიუდინოვოს“ გადაცემის საზეიმო ცერემონია. ეს ტანკერი ერთ-ერთია ამ ტიპის 6 გემიდან, რომლებიც სრულიად საკავშირო გაერთიანება „სუდოიმპორტმა“ შეუკვეთა ამ კომპანიას 1962 წელს. ახალი ტანკერი, რომლის მართვა დიდად ავტომატიზებულია, განკუთვნილია ჩრდილოეთის განედებში ნაოსნობისათვის. ტანკერის წყალწყვეა 35 ათასი ტონა.

ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲮᲓᲝᲛᲔᲑᲘ

რომი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ახალი ბანდიტური გამოხდომა მოაწყვეს იტალიელმა ნეოფაშისტებმა. გუშინ მილანოში მათ ააფეთქეს ორი ბომბი — ერთი იტალიის კომუნისტური პარტიის სექციის შენობაში, რომელიც ხულიან გრამაუს სახელს ატარებს, და მეორე იუგოსლავიის საკონსულოს შენობაში.

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ ᲒᲐᲣᲨᲕᲔᲡ

ნიუ-იორკი, 16 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ იტალიელმა სპეციალისტებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაუშვეს პირველი იტალიური დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „სან-მარკო“. გაშვება განხორციელდა ამერიკული რაკეტის „სკაუტის“ მეშვეობით უოლოპსის კუნძულზე კოსმოსის კვლევის სადგურიდან. ეს კუნძული ვირჯინიის შტატის სანაპიროს მახლობლად მდებარეობს.

თანამგზავრზე, რომელიც დაახლოებით 115 კილოგრამს იწონის, დადგმულია სამეცნიერო აპარატურა იონოსფეროსა და დიდ სიმაღლეზე დედამიწის ატმოსფეროს სიმკვრივის გამოსაკვლევად.

ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მომავალ სესიასთან დაკავშირებით რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ განიხილა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის დაზუსტებული სახელმწიფო გეგმის პროექტი და საქართველოს სსრ 1965 წლის დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, აგრეთვე 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

გარდა წვერებისა, კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, მთელი რიგი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენლები, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები.

საბიუჯეტო კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დ. კეშელავას მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის დაზუსტებული სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ და რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ბ. ჩხეიძის მოხსენება საქართველოს სსრ 1965 წლის დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და რესპუბლიკის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მოხსენებათა გამო შენიშვნები გამოთქვეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. მამაცაშვილმა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა თ. ბუაჩიძემ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. ბუხრაშვილმა, რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის მინისტრმა გ. ქობულიამ, რესპუბლიკის განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა, ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ყულიევმა, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა მ. თოფურიძემ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ს. ცომაიამ, მაიაკოვსკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ჯოგლიძემ, დუშეთის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ა. შადურმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ ო. დვალმა, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ჯუსოევმა, ლანჩხუთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. გვარჯალაძემ, აფხაზეთის სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ მ. სარჩისიანმა, თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. მეზვრიშვილმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოადგილემ მ. ღვინჯილიამ, კასპის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. პაპიაშვილმა, ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ქ. ხარისჭირაშვილმა, აჭარის სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილემ დ. სარიშვილმა.

საბიუჯეტო კომისიის მუშაობა შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა დ. ბელაშვილმა.

კომისიამ მოიწონა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, აგრეთვე 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და მისი დასკვნა განსაკუთრებულ წარედგინება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს სესიას.

საბიუჯეტო კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაჭაძემ.

(საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ

საუბარი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ავსტრალიის კომპარტიის ხელმძღვანელ მუშაკებთან

14 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა მიიღეს ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე ლ. აარონზი და ავსტრალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი დ. მოსი, რომლებიც მოსკოვში იმყოფებიან.

ამხანაგებმა ლ. აარონზმა და დ. მოსმა ილაპარაკეს ავსტრალიის კომუნისტური პარტიის საქმიანობაზე, მის ბრძოლაზე მშრომელთა საარსებო ინტერესებისა და დემოკრატიული უფლებებისათვის, ავსტრალიის პროგრესული ძალების ერთობისათვის, სამხრეთ ნახევარსფეროში მშვიდობისა და უშიშროებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა ავსტრალიელ ამხანაგებს გააცნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრაქტიკული საქმიანობა კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა, რომლის მიზანია ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების თანმიმდევრული განხორციელება, სოციალისტური ქვეყნების შეკავშირების განმტკიცება და განმათავისუფლებელ რევოლუციურ მოძრაობათა მხარდაჭერა.

საუბრის დროს კვლავ დადასტურდა სრული ერთობა ორივე პარტიის შეხედულებებისა, რომ საჭიროა განმტკიცდეს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთობა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე, 1957 წლის დეკლარაციისა და 1960 წლის განცხადების საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით ორივე პარტიის წარმომადგენლებმა კვლავ აღნიშნეს, რომ საჭიროა მოწვეულ იქნეს კომუნისტური და მუშათა პარტიების ახალი საერთაშორისო თათბირი და სარედაქციო კომისია, რომლის მუშაობა გათვალისწინებულია დაიწყოს 1965 წლის 1 მარტს.

საუბარმა გულითადობისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა, რაც დამახასიათებელია ორივე პარტიის ურთიერთობისათვის.

ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

16 დეკემბერს საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის საკტო დარბაზში გაიმართა ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრება. მოხსენება — ტოკიოს XVIII ოლიმპიურ ასპარეზობათა შედეგები გააკეთა სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. გ. ნიკონოვმა.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის პროფსაბჭოს განყოფილების ჯამგემ ი. ჩოჩიამ, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა მ. თიკანაძემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. დიაჩკოვმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგემ გ. შერკულიანმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ რ. პოპოვამ, საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. სანაძემ, გორის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ გ. მეყანწიშვილმა.

16 დეკემბერს საქართველოს სსრ სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმს დაეალა შეიმუშაოს და გადაწყვიტოს რესპუბლიკაში სპორტული მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების საკითხები.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. გ. სტურუა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

მსოფლიო ამ დღეებში

ჯონსონისა და ჰორნიგის საუბარი

ვაშინგტონი, 16 დეკემბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯონსონმა გუშინ თეთრ სახლში მიიღო თავისი სპეციალური თანაშემწე მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებში დონალდ ჰორნიგი და მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა დარგის წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ იყვნენ საბჭოთა კავშირში.

ჰორნიგმა და დელეგაციის წევრებმა პრეზიდენტს მოახსენეს, თუ რა შეხვედრები ჰქონდათ საბჭოთა კავშირში, აგრეთვე რომ გაეცნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკისა და სხვა ქალაქების ქარხნებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებს, ქიმიურ და ელექტრონულ ლაბორატორიებს.

თეთრი სახლის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ პრეზიდენტმა ამერიკის დელეგაციის წევრებთან ერთად განიხილა „მათი შეხედულებანი საბჭოთა კავშირთან სამრეწველო კონტაქტების, ტექნიკური გაცვლის გაფართოებისა და ვაჭრობის შეზღუდვების შესაძლო შემცირების შესახებ“.

ასეთი ვიზიტები, უთხრა ჯონსონმა ამერიკის დელეგაციის წევრებს, ხელს შეგვიწყობს უკეთ გავიცნოთ რუსი ხალხი, მისი ქვეყანა და საკუთარი თვალით ვნახოთ მისი მიღწევები და პრობლემები. იმედი გვაქვს, რომ ვითანამშრომლებთ მათთან წესლის გამტკიცარების სამუშაოებში და, ალბათ, ტექნიკის მთელ რიგ სხვა დარგებში კაცობრიობის სასარგებლოდ.

პრეზიდენტ ჯონსონთან შეხვედრის შემდეგ, დონალდ ჰორნიგმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ რუსები ძალიან გულთბილად ხვდებოდნენ ამერიკის დელეგაციას. „ჩვენ დავრწმუნდით, რომ შათ სურთ გაუაზრესონ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა“, — თქვა ჰორნიგმა. რუსები დაინტერესებული არიან შეისყიდონ „დიდძალი სხვადასხვაგვარი ამერიკული საქონელი“. ამერიკელმა სპეციალისტებმა, დასძინა მან, საბჭოთა კავშირში ნახეს ბევრი ტექნიკური სიახლე. ამასთან დაკავშირებით მეტისმეტად გაზვიადებულია შიში იმის გამო, თითქოს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შედეგად რუსებს ხელში ჩაუვარდებათ ამერიკელთა საიდუმლოებანი.

საბჭოთა ეკონომიკა, აღნიშნა ჰორნიგმა, მეტად სწრაფად ვითარდება.

ვენტაგონს გეზი ბონზე აქვს აღებული

ვაშინგტონი, 15 დეკემბერი. (საკდესი). ჟურნალმა „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა“ მორიგ ნომერში გამოაქვეყნა სტატია, რომელიც საბოლოოდ ფუს ფუს ანგლისის პრემიერ-მინისტრ ვილსონისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონსონის ამასწინანდელ მოლაპარაკებას. ამ შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი შედეგი ის არის, აღნიშნავს ჟურნალი, რომ ინგლისს აღარ შეუძლია ამერიკის შეერთებული შტატების „უახლოესი“ მოკავშირის პრივილეგიური მდგომარეობის იმედი ჰქონდეს. ვილსონს განუცხადეს, რომ ამიერიდან შეერთებულ შტატებს ინგლისი და დასავლეთი გერმანია მიაჩნიათ „თანასწორ პარტნიორებად“ ატლანტიკის კავშირში.

ვაშინგტონში ვილსონის ვიზიტის მეორე მნიშვნელოვანი შედეგია, ჟურნალის აზრით, „ამერიკის შეერთებული შტატების თანხმობა იკისრონ ინგლისის მთელი რიგი სამხედრო ვალდებულებანი შუა და შორეულ აღმოსავლეთში“ ინგლისმა კი, თავის მხრივ, „საგრძნობი წვლილი“ უნდა შეიტანოს სამხრეთ ვიეტნამის ომში. პრეზიდენტი ჯონსონი, იუწყება „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“, ცდილობს მიაღწიოს ინგლისისა მხრივ „ნაცვალგების დამაჯერებელ გამოვლინებას“ — რამდენიმე ასეული ინგლისელი სამხედრო მრჩეველის გაგზავნას სამხრეთ ვიეტნამში. ამერიკის შეერთებული შტატები აპირებენ აგრეთვე შექმნან ინგლის-ამერიკის სამხედრო ბაზა ინგლისის კუთვნილ კუნძულებზე ინდოეთის ოკეანეში და მზად არიან იკისრონ ნაწილი ინგლისის სამხედრო „ტვირთისა მალაიზიის დაცვის საქმეში“.

ეს ცვლილებები, აღნიშნულია სტატიაში, იმის შედეგია, რომ პრეზიდენტმა ჯონსონმა გაითვალისწინა ორი ფაქტორი — „ინგლისის ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შესუსტება“ და ის, რომ „საჭიროა სასწრაფოდ გაძლიერდეს დასავლეთ გერმანიის სტატუსი ატლანტიკის კავშირში“.

ამჟამად ამერიკელი ოფიციალური პირები ითვალისწინებენ, ხაზგასმით აღნიშნავს ჟურნალი, რომ უახლოეს რამდენიმე თვეში ყველა დაინტერესებული დასავლეთელი მოკავშირე შეძლებს შეთანხმდნენ კომპრომისის შესახებ, რომელშიც გაერთიანებული იქნება ნატოს ატომური ძალების შექმნის აზრიკული და ინგლისური გეგმების მთავარი ასპექტები და ამ კომპრომისის მთავარი მიზანია „მიეცეს დასავლეთ გერმანიას ინგლისის თანაბარი უფლებები ნატოს ატომურ საქმეებში“.

სულ ცოტა ხნის წინათ ინგლისის ლეიბორისტული მთავრობის ახლანდელი ხელმძღვანელები ილაშქრებდნენ მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის წინააღმდეგ, ხოლო ვაშინგტონში ვილსონის ვიზიტის შემდეგ, წერს „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“, ინგლისმა იკისრა მთავარი ბიძგის მიმცემის როლი, რომ ნატოს ევროპელ წევრებს თავს მოახვიონ ეს იდეა.

ამერიკელი ოფიციალური პირები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ვილსონთან და მუდამ ბონისკენ იცქირებოდნენ.

ვილსონის განცხადება

ლონდონი, 16 დეკემბერი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის ომი შეიძლება შეწყდეს მხოლოდ მაშინ, თუ შესრულდება ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი, განაცხადა გუშინ თემთა პალატაში პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა, როცა უპასუხა შეკითხვაზე, რომელიც შეეხებოდა ამ პრობლემის განხილვას ამასწინანდელი მოლაპარაკების დროს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ლ. ჯონსონთან ვაშინგტონში.

ვილსონმა განაცხადა აგრეთვე, რომ არ უკვირია რაიმე ვალდებულება, რომ სამხედრო დახმარებას გაუწევს ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხრეთ ვიეტნამში.

გაზეთი „აჯა“

კოლომბოში ცეილონის კომპარტიის ინიციატივით გამოვიდა ახალი ყოველდღიური გაზეთი „ატა“ („სიმართლე“). გაზეთის პირველი ნომრის მოწინავე სტატიაში ხაზგასმულია, რომ გაზეთი გამოხატავს ხალხის ინტერესებს და იბრძოლებს ცეილონის პროგრესული, ანტიიმპერიალისტური ძალების ერთობის განმტკიცებისათვის.

ერჰარდის ფიქრები

ბონი, 15 დეკემბერი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ერჰარდი პრეს-კონფერენციაზე, რომელიც დღეს აქ გაიმართა, იცავდა ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების პროექტს. მან განაცხადა, რომ ამ ძალების შექმნა ერთ-ერთი „ყველაზე არსებითი პრობლემაა“, რომელიც უნდა შეეთანხმოთო. ერჰარდმა იმედი გამოთქვა, რომ, მიუხედავად არსებითი უთანხმოებისა, „მრავალმხრივი ატომური ძალების საკითხის გადაჭრა გამოინახება“.

ერჰარდმა აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობა ნატოში, განხორციელდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის რეფორმა, ხოლო ეს რეფორმა ბონს წარმოუდგენია უწინარეს ყოვლისა, როგორც თავისი პოზიციების გაძლიერება ამ ორგანიზაციაში.

დასავლეთ გერმანიის კანცლერმა კვლავ ცხადყო, რომ არ სურს ინგლისი გაუწიოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ფაქტს. ერჰარდმა მოითხოვა გერმანიის „გაერთიანება თვითგამორკვევის საფუძველზე“, რითაც არსებითად დაადასტურა ბონის მისწრაფება გავრცელოს თავისი წესწყობილება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ერჰარდმა არ გასცა პასუხი კითხვებზე, რომლებიც დაკავშირებულია კონგოს ხელისუფალთა მეთაურის ჩომბეს ყოფნასთან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. კანცლერმა განაცხადა, არ ვიცი შეეხვდები თუ არა ჩომბესო და უარი თქვა ეპასუხნა კითხვაზე, მიიღებს თუ არა ლეოპოლდვილის რეჟიმი ეკონომიურ დახმარებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისაგან.

ერჰარდმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს 22 იანვარს ბონში შეხვდეს ინგლისის პრემიერ-მინისტრს ვილსონს და რომ იანვარში ჩავა პარიზს პრეზიდენტ დე გოლთან მოსალაპარაკებლად.

კატასტროფა ზღვაზე

☐ **იტალიის 7 ათასი ტონა წყალწყვის სატვირთო გემი „ბოლეფო დი ტრიესტე“ ჩაიძირა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში. გემის ეკიპაჟი გადაარჩინა მახლობლად მიმავალმა ტანკერმა.**

☐ *გალტიის ზღვაში დანიის კუნძულ ბორნჰოლმის რაიონში ინგლისის გემი „ბალტიკ სტარი“ დაეჯახა დანიის პატარა გემს, რომელიც სერიოზულად დაზიანდა. დანიის გემის ეკიპაჟი „მალტიკ სტარმა“ აიყვანა გემზე, ხოლო დანიის დაზიანებული გემი ბუქსირით მიიყვანა შვეციის ნავსადგურ სიმრისჰამნში.*

მდგომარეობა კონგოში

ჟარიზი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კონგოში გრძელდება ბრძოლები კონგოელ აჯანყებულებს და ლეოპოლდვილის ჯარების ნაწილებს შორის. აბას რაიონში (შორეული ჩრდილო-აღმოსავლეთი კონგო) დისლოცირებული აჯანყებულთა რაზმები მიიწევენ ქალაქ პაულისისაკენ. ბრძოლები წარმოებს რაიონში პაულისსა და ქალაქ ვატსას შორის, რომელიც პაულისის აღმოსავლეთით მდებარეობს. როგორც კონგოდან იუწყებიან, აჯანყებულთა ერთ-ერთმა რაზმმა იერიში მიიტანა პაულისის აეროდრომზე. ჩომბეს ჯარები დიდ ზარალს განიცდიან. შიშში არიან მთავრობის ჯარები, რომლებმაც მოახდინეს სტენლივილის ოკუპაცია. ქალაქისაკენ მიმავალი ყველა სახმელეთო და სანაოსნო გზა ფაქტიურად ჩაკეტეს აჯანყებულებმა. მთელი კავშირი სტენლივილთან მხოლოდ საჰაერო ხიდით წარმოებს.

თათბირი დელიში

დელი, 16 დეკემბერი. (საკდესი). 13-14 დეკემბერს აქ მიმდინარეობდა ინდოეთის შტატების მთავარი მინისტრების თათბირი, რომელზეც ბჭობდნენ ინდოეთში სასურსათო მდგომარეობისა და ფასების ზრდის საკითხზე.

თათბირის განსახილველად შეიტანეს წინადადება იმის შესახებ, რომ ინდოეთში აიკრძალოს კომუნალისტური (რელიგიურ-თემური) პარტიების საქმიანობა. თათბირმა ეს წინადადება არ მიიღო.

რაზე წერდა გუშინ უცხოეთის პრესა

დასავლეთის პრესა ბევრს წერს მწვავე უთანხმოებებზე, რომლებმაც თავი იჩინა ნატოს საბჭოს პარიზის სესიის მუშაობის დაწყებისთანავე. „სესიის ყველა მონაწილე, — აღნიშნავს საფრანგეთის ოფიციოზური გაზეთი „ნასიონი“, — პირდაპირ თუ არაპირდაპირ უარყოფს ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის ამერიკულ პროექტს. მხოლოდ დასავლეთ გერმანიის მინისტრი შრედერი მხარს უჭერს მას უშენიშვნოდ“. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ ნატოს საბჭოს სესიის გუშინდელ სხდომაზე შეხლა-შემოხლამ მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის ამერიკული პროექტის ვადამ აშკარა ხასიათი მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პროექტის მწინააღმდეგეთა ჯგუფს, აცხადებს გაზეთი, სათავეში ჰაუდგა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ფრანგული „ორორი“ ხაზს უსვამს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის რასკის განცხადებას, რომ „ინგლისის წინადადება მეტად საინტერესოა“. გაზეთის აზრით, ამ განცხადებით რასკი „ელაციცებდა ლონდონს“, რათა ჩაბას ინგლისი სამთა — ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის მოლაპარაკებაში. „ლუმანიტეს“ თავის მხრივ მიაჩნია, რომ „ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ თავიდან აიცილონ საზოგადოებრივი აზრით დაგმობილი ორმხრივი შეთანხმება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და იანვარში ვაშინგტონის, ბონისა და ლონდონის სეპარატიული მოლაპარაკება ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის შესახებ“.

საზღვარგარეთის გაზეთები ამუქებენ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. რაპაცკის გამოსვლას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე, და კერძოდ მის წინადადებას ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ. **ინგლისური „გარდიანი“** მოუწოდებს ინგლისს დაეთანხმოს ევროპის ყველა სახელმწიფოს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების კონფერენციის მოწვევას, რასაც მოითხოვს პოლონეთი.

დასავლეთ გერმანიის პრესა ათაყვანებს ინფორმაციას სტუდენტთა საპროტესტო დემონსტრაციის შესახებ, რომელიც გაიმართა ბონში ჩომბეს ჩასვლის წინაღმდეგ.

ჩეხოსლოვაკიის პრესა იუწყება, რომ საწარმოთა ბევრმა კოლექტივმა შრომითი წარმატებები მოიპოვა, შეასრულა მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა.

ბულგარეთის პრესაში მოთავსებულია ანგარიში იმის შესახებ, რომ პლევნის ოლქში ბიჭისა და ბიჭების საფეხურის ახალი ქარხანა. (საკდესი).



საზღვარგარეთული ჟურნალი

ჯონსონისა და ჰორნიგის საუბარი

ვაშინგტონი, 16 დეკემბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯონსონმა გუშინ თეთრ სახლში მიიღო თავისი სპეციალური თანაშემწე მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებში დონალდ ჰორნიგი და მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა დარგის წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ იყვნენ საბჭოთა კავშირში.

ჰორნიგმა და დელეგაციის წევრებმა პრეზიდენტს მოახსენეს, თუ რა შეხვედრები ჰქონდათ საბჭოთა კავშირში, აგრეთვე რომ გაეცნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკისა და სხვა ქალაქების ქარხნებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებს, ქიმიურ და ელექტრონულ ლაბორატორიებს.

თეთრი სახლის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ პრეზიდენტმა ამერიკის დელეგაციის წევრებთან ერთად განიხილა „მათი შეხედულებანი საბჭოთა კავშირთან სამრეწველო კონტაქტების, ტექნიკური გაცვლის გაფართოებისა და ვაჭრობის შეზღუდვების შესაძლო შემცირების შესახებ“.

ასეთი ვიზიტები, უთხრა ჯონსონმა ამერიკის დელეგაციის წევრებს, ხელს შეგვიწყობს უკეთ გავიცნოთ რუსი ხალხი, მისი ქვეყანა და საკუთარი თვალით ვნახოთ მისი მიღწევები და პრობლემები. იმედი გვაქვს, რომ ვითანამშრომლებთ მათთან წესლის გამტკიცარების სამუშაოებში და, ალბათ, ტექნიკის მთელ რიგ სხვა დარგებში კაცობრიობის სასარგებლოდ.

პრეზიდენტ ჯონსონთან შეხვედრის შემდეგ, დონალდ ჰორნიგმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ რუსები ძალიან გულთბილად ხვდებოდნენ ამერიკის დელეგაციას. „ჩვენ დავრწმუნდით, რომ შათ სურთ გაუაზრესონ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა“, — თქვა ჰორნიგმა. რუსები დაინტერესებული არიან შეისყიდონ „დიდძალი სხვადასხვაგვარი ამერიკული საქონელი“. ამერიკელმა სპეციალისტებმა, დასძინა მან, საბჭოთა კავშირში ნახეს ბევრი ტექნიკური სიახლე. ამასთან დაკავშირებით მეტისმეტად გაზვიადებულია შიში იმის გამო, თითქოს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შედეგად რუსებს ხელში ჩაუვარდებათ ამერიკელთა საიდუმლოებანი.

საბჭოთა ეკონომიკა, აღნიშნა ჰორნიგმა, მეტად სწრაფად ვითარდება.

ინგლისელ-ამერიკელ-ფრანგული ურთიერთობა

ლონდონი, 16 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისელ-ამერიკელ-ფრანგული ურთიერთობა ინგლისელ-ამერიკელ-ფრანგული ურთიერთობა ...

გადარჩენის ბალადა

ერთი გმირობის ბიოგრაფია

ვანრისხებული ყვიროდა წეროსფეხება ხმელ-ხმელი ესესფიურერი. სილის გარტყმასავით ლაწა-ლაწი გაჰქონდა ყურებში მჯახე გერმანულ ფრაზებს...

მაგრამ ის მაინც დუმდა, როგორც ლულაში ტყვია. ნუთუ ასეთი უხეშია გოეთეს ენა, — გაიფიქრა მან.

ნერვიულად ბოლთას სცემდა ოთახში გერმანელი ოფიცერი.

ბოლოს ისევ თავიდან დაიწყო ესესფიურერმა:

— გვარი?

— ღოღობერიძე.

— სახელი?

— აკაკი.

— დაბადების ადგილი?

— ფოთი, საქართველო...

...,,დოიჩლანდ, დოიჩლანდ იუბერ ალეს!" — ისმოდა მთვრალი ჯარისკაცების ღრიალი კაფედან.

— ებრაელი ხარ?

— ?!

— კომუნისტი?

— ?!

ის მაინც დუმდა...

მერე არაფერი ახსოვს. გონს რომ მოვიდა, ჯიჯინთფური ტკივილები იგრძნო, წყალი ითხოვა, მერე მოგონებები მოჩვენებებად წამოიშალნენ...

ქუჩას გახედა სარკმლიდან, თვალს არ დაუჯერა.

ხაკისფერ უნიფორმიანი მეავტომატე მაიაკოვსკის ძეგლს ესროდა.. და უეცრად გაუელვა თავში სურათმა: 1941 წელი, სმოლენსკის ოლქი, ქალაქი დუხოვშჩინა... მოედანზე ლენინის მონუმენტი იდგა...

...ციდან „მესერშმიტების" გამაყრუებელი ხმაური ისმოდა, მიწაზე მუხლუხიანი „ვეფხვები" და „ავაზები" მობობღავდნენ. ცა დაწეულიყო ისე დაბლა, ფიეკრებდა, საცაა მიწას უნდა დაეხოსო... ამ ჯანღში იდგა ბრინჯაოს ლენინი მომავლისაკენ გაწვდილი ხელით... აკაკი ღოღობერიძე მე-13 არმიის 21-ე დივიზიის 67-ე პოლკში ტანკსაწინააღმდეგო ოცეულის მეთაური იყო... მან ბრძანება მიიღო ბრძოლით დაეხია უკან და ქალაქ დუხოვშჩინის მისადგომებთან დახვედროდა ფაშისტების ექვს „ავაზას".

თავდაცვის ხაზზე მოვიდნენ ბატარიის პოლიტხელი მორროზოვი, ფაშისტთა ტყვეობიდან გაქცეული ხარკოველი ინჟინერ-ტექნიკოსი ხელოვი და კიდევ სამოქალაქო ტანსაცმლიანი ბუგაევი თუ ბულატოვი, კარგად არ ახსოვს მესამის გვარი აკაკი ღოღობერიძეს. მათ სხოვეს ოცეულის მეთაურს დახმარებოდა ლენინის ბიუსტის გადარჩენაში.

ოცეულის მეთაურმა ღოღობერიძემ ცხრა წითელარმიელი აიყვანა, მათ შორის ოცმეთაურის თანაშემწე კილესა, რიგითი ციგანკოვი და სხვები და სწრაფად გაემართნენ დუხოვშჩინის ცენტრალურ სკვერში, სადაც მრგვალ კვარცხლბეკზე იდგა ლენინის ბიუსტი. ირგვლივ სკდებოდა ნაღმები. ორ ნაბიჯზე იყო აბჯარახსხმული სიკვდილი... ღოღობერიძემ ბრძანება გასცა უახლოეს სანგარში გადატანათ ლენინის ბიუსტი.

ლენინი სანგარში! —

ეს უკვე იდეა იყო, ეს იყო ძალა, რომელზეც კლანჭები გაუცვდებოდა ფოლადის ყველა „ავაზასა" და „ვეფხვს"... მაგრამ, სამწუხაროდ, ახლოს სანგარი არ აღმოჩნდა. ირგვლივ ისევ სკდებოდა ნაღმები. მსუბუქად დაიჭრა აკაკი. ბრძანა ბიუსტი შორს წაეღოთ და სანგარი გაეთხარათ. ჯარისკაცებმა ცოცხალი ადამიანივით ფრთხილად აიყვანეს ხელში ბრინჯაოს ბიუსტი და ტყვიების წვიმაში, სიბნელეში გაუჩინარდნენ.

მსუბუქად დაჭრილი აკაკი ოცეულის თავდაცვის პოზიციებზე დაბრუნდა. ღამით, როდესაც საცეცხლე წერტილს ხსნიდნენ წინა ხაზზე, ოცმეთაურის თანაშემწემ მოახსენა აკაკი ღოღობერიძეს, დავალება შესრულებულიაო. აკაკიმ იმ ღამესვე უბაკაკა წერილობით ამის შესახებ ბატარიის პოლიტხელს.

ბრძანება ბრძანებაა, გინდა თუ არა, უნდა დაიხო, როცა ამას ომის ხელოვნება მოითხოვს. აკაკი ღოღობერიძემ ოცეულეთურთ უკან დაიხია და ახალი თავდაცვის ხაზი გაამაგრა. მაგრამ არ ასვენებდა ფიქრი ბიუსტზე. ხომ არ მიაგნეს ბარბაროსებმა საჭრელით გაცოცხლებულ ლენინის სახეს. ფაშისტი ამის ფაშისტია, რომ არც ჭკუა დაუშლის და არც ადამიანობა ისევე მოეკუროს ბელადის ბიუსტს, როგორც ის ხაკისფერ უნიფორმიანი ყეყეჩი ოფიცერი ექცეოდა მაიაკოვსკის ძეგლს...

67-ე პოლკის პოლიტხელისგან მადლობა მოვიდა, მაგრამ პოლიტხელი დასძენდა, სანგრის გათხრას სჯობდა ბიუსტი ღრმა ზურგში ტრანსპორტით გაგეხიზნათო.

მოსვენება დაკარგა აკაკი ღოღობერიძემ. მზვერავები გაგზავნა იმ ადგილას, სადაც მისი ბრძანებით ბიუსტი დაბინავეს წითელარმიელებმა. მზვერავთა ცნობა სანუგეშო არ იყო: იმ სანგრის რაიონში ფაშისტთა ტანკები დგანან.

ფონტის ზზა კი გრძელდებოდა.

ფილოსოფოსები ხან ზედმეტად ართულებენ, ხან ძალიან ამარტივებენ ცხოვრებას. ცხოვრება გზაა, მოდი, ნახე და გაიარეო, იტყოდნენ ბრძენნი ძველ რომში. ოიოი სათქმელია — მოდი, ნახე და გაიარეო... ფრონტის გზებზე ზეზე ეძინა აკაკი ღოღობერიძეს. მიდის მწყობრი, მიაბიჯებს და სძინავს ადამიანს. ადგილზე რომ მიხვალ, უნდა იბრძოლო, იქ ძილის დრო არ არის. გზაში უნდა გამოიძინო ან სცადეთ თოვლში და ყინულში ფეხშიშველად გავლა, სანგარში მკვდრების გვერდით წოლა. ფორთხვა დღედაღამე, როცა მძიმედ ხარ დაჭრილი და თან სიკვდილი ორ ნაბიჯზე მოგდევს მგელივით.

დუხოვშჩინიდან უკანდახევის შემდეგ, 2-4 აგვისტოს ღოღობერიძის ოცეულიც მე-13 არმიის სხვა ნაწილებთან ერთად ფაშისტების რკალში მოექცა. ბატარია თავგანწირვით იბრძოდა. აკაკი იგონებს: ორი ჯავშნოსანი და შვიდი ტანკი აფეთქეს ბატარიის მებრძოლებმა. სისხლისმღვრელი ბრძოლები გაუმართეს მტერს წითელარმიელებმა 4-12 აგვისტოს მათ გაანადგურეს ფაშისტთა 4 სატვირთო ავტომობილი, 3 ჯავშნოსანი და 5 ტანკი. 12 აგვისტოს ღოღობერიძე მუცელში, შუბლში და მარჯვენა მხარში დაიჭრა.

...და გერმანელ ფაშისტთა რკალიც შეიკრა საბჭოთა ჯარის ნაწილების ირგვლივ. ღოღობერიძემ ბრძანება გასცა აეფეთქებინათ ტყვიაწამლის მარაგი, რომ ფაშისტებს არ ჩავარდნოდათ ხელში. აფეთქების ადგილს გერმანელებმა ცეცხლი დაუშინეს და ღოღობერიძემ ორივე ფეხში ოთხი ჭრილობა მიიღო. გრძნობა დაკარგა.

გლეხებს გაეყვანათ ტყიდან მტრების მიერ აღებულ როსლავლში, სადაც საექიმო დახმარება აღმოუჩინეს. დაიწყო იატაკქვეშეთში ცხოვრება. ერაერთხელ დაჰკითხა გერმანელთა პოლიციამ, როგორც საეჭვო პირი. აკაკი ღოღობერიძე გვარს იცვლიდა. ხან გოცირიძედ იწერებოდა, ხან აბდულაევად, ხან ზაზაროვად. მერე მოგილევში ისევ მოხვდა ესესელთა ხელში, მაგრამ ბოცრებით ისევ დააღწია თავი მტრებს. შემდგ უკავშირდება პარტიზანებს და თელაველ გიორგი ქარელაშვილთან ერთად ხსნის სადალაქოს ოკუპირებულ მოგილევში, ლენინის ქუჩაზე № 20 სახლში.

სადალაქოს პარტიზანებთან და სამხედრო ტყვეებთან ჰქონდა კავშირი. ესესელებს ძალლის უნოსვამ არ უდალატა და საეჭვო სადალაქოს პატრონი ქარელაშვილი „ჩავარდა". ღოღობერიძემ მოგილევიდან გაასწრო ფაშისტებს, მაგრამ 1943 წლის აპრილში ისევ ჩაუვარდა გესტაპოს ხელში. სწორედ ამ დაკითხვის აღწერით დავიწყეთ ჩვენი მოთხრობა აკაკი ღოღობერიძეზე. ბრალდებად წაუყენეს პარტიზანებთან კავშირი, ანტიგერმანული პროპაგანდა და ვინ იცის კიდევ რა. რას არ გადაურჩება კაცი. ეშელონით ტყვეების გადაყვანის დროს მოახერხა გაქცევა.

მერე ისევ პარტიზანებთან აღმოჩნდა. 1943 წლის ოქტომბერში პარტიზანთა ბრიგადას ხელმძღვანელობდა ბელოუსოვი. პარტიზანთა თავკაცმა როცა გაიგო რომ მოსული ქართველი იყო, აჩვენა მანქანა, რომლის ძარაზე ეწერა „თავაძე დავით ლეონტის-ძე სამტრედიიდან". აკაკიმ მიაწერა თავისი გვარი და სახელი ძარაზე. ასეთი „ფოსტის" წყალობით მათ გაიცნეს ერთმანეთი. დ. თავაძე ამჟამად თბილისში ცხოვრობს და მუშაობს გეოლოგიურ სამმართველოში.

1944 წელს ფაშისტებმა ჩხრეკა-ძიება მოაწყეს და აკაკი ღოღობერიძემ ებრალელთა ბანაკში ამოჰყო თავი. ამ საშინელი დღეების მოგონებაც ეზარება დღეს აკაკის. ადგილობრივი მოსახლეობისა და პარტიზანების დახმარებით ღოღობერიძე გაიქცა და მონაწილეობას იღებდა ხიდების აფეთქებაში, ავრცელებდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს.

1944 წლის მაისი. ისევ გესტაპო. სოფელ კუპელში ზაბაროვის გვარით შეპყრობილი აკაკი ებრალელად ჩათვალეს. ძალლი მიუშვეს. კონან დოილის წიგნში ამოკითხულ ბასკერვილების შემაზრზენ ცეცხლოვან ძალლს აგონებდა აკაკის გესტაპოს მგელ-ძალლა. ხელზე საკეტი დაადეს.

მესამე რეიხის ცივილიზებული ბარბაროსები ადამიანში ხედავდნენ მხოლოდ საზარბაზნე ხორცს. მთიული ხარონის პერსონალური მანქანები — გაზით სულთამხუთავაები ყოველ ნახევარ საათში ასრულებდნენ რეიხს „საა-ქო-ხაინქიო". ერთ-ერთ ასეთ რეისზე ბილეთი უკვე შეკვეთილი იყო აკაკი ღოღობერიძისათვისაც. კარცერში მყერდამდე წყალში ავდებდნენ მას, სცემდნენ ველური ფინით. აკაკისთან ერთად კარცერში ორ დღეს იჯდა ერთი თეორწვერა მოხუცი, რომელსაც აკაკი ომედან პუროვით უყოფდა.

26 ივლისს კი დახვრეტის განაჩენზე მოაწერინეს ხელი. ასე გაუყენეს საიქიოს გესტაპოელებმა აკაკი ღოღობერიძე.

მერე მოხდა მოულოდნელი, მაგრამ სასიხარულო ამბავი. საბჭოთა თვითმფრინავებმა დაბომბეს ქ. ბორისოვი, სადაც ტყვეობაში იმყოფებოდნენ საბჭოთა არმიელები. ამით ისარგებლეს ეფიმ სადოვნიკოვმა, ვასილ ბარანოვსკიმ, აკაკი ღოღობერიძემ, გაიქცნენ და ტყეში პარტიზანებს შეუერთდნენ.

ომში მისი მონაწილეობა მთავრობამ წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით აღნიშნა.

აკაკი ღოღობერიძე ომის ინვალიდია. უკვე კარგა ხანია შეიდობან შრომას დაუბრუნდა, მაგრამ ამას წინათ რადიოს უეცარმა ცნობამ ისევ დაანრუნა ომის დღეებში.

საკდესმა ქვეყანას აუწყა, რომ დუხოვშჩინაში იპოვნეს ლენინის მონუმენტი, რომელიც ომის დროს ბადაარჩინეს საბჭოთა არმიელებმა. გმირების სახელი არავინ იცოდა. ჩვენ დღეს ვიცით, ვინ არიან ისინი. ოფიცერი აკაკი ღოღობერიძე, მაიორი ბელოვი, წითელარმიელები კილესა, ციგანკოვი, პოლიტხელი მოროზოვი და კიდევ ცხრა წითელარმიელი, რომელთა სახელი დღეს მათს თანამებრძოლებსაც არ ახსოვთ. მაგრამ ხალხს ხსოვნა დიდი სარკეა, რომლებშიც არეკლილი გმირობა არასოდეს არ წაიშლება.

ეს გადარჩენის ბალადაც იმ მეხსიერების ანარეკლია.

ვლ. ალფენიძე.

სურათზე: ა. ღოღობერიძე.

გაზეთების ფურცლებზე

სახალხო კონტროლი მოქმედებს...

საოლქო გაზეთი „საბჭოთა აჭარა" კარგ საქმეს აკეთებს, როცა პერიოდულად აქვეყნებს სპეციალურ გვერდებს დევიზით: „სახალხო კონტროლი მოქმედებს!" ამით გაზეთი ეწევა სახალხო კონტროლიორთა დადებითი გამოცდილების პროპაგანდას, ამზეურებს ცალკეული კოლექტივების მუშაობაში არსებულ ხარვეზებს, ზრდის მასების ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. საილუსტრაციოდ კმარა გაზეთის თუნდაც ერთ-ერთი უკანასკნელი ნომრის სპეციალური გვერდი, რომელშიც საყურადღებო მასალებია მოთავსებული.

ა. ბოგომოლოვას წერილი „ფხიზელი თვალი" მკითხველს მოუთხრობს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ჩაქვის ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელი ჯგუფის წევრთა მრავალმხრივ მოღვაწეობაზე.

— ინიციატივიანი, მოუსვენარი ადამიანები არიან პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელმძღვანელ ჯგუფში, — წერს ავტორი. — სახალხო კონტროლიორების კარგ საქმეთა ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ადამიანებმა იციან, რომ ხელმძღვანელი ჯგუფის წევრები, რომლებსაც გ. ტიკარაძე ხელმძღვანელობს, შეურიგებლად ებრძვიან ნაკლოვანებებს, გულგრილობას, თვალსაზეოვას, ამიტომ ხშირად მიმართავენ მათ დახმარებას: „ეკონომიკა ბეჭთა ბეჭდურია". სახალხო კონტროლიორები ყველაფრით არიან დაინტერესებული, ყველაფრისათვის პასუხისმგებლად თვლიან თავს. მათ სურთ იცოდნენ, ხარისხოვნად სხლავენ თუ არა ჩაის ბუჩქებს, სწორად ერიცხებათ თუ არა მუშებს ხელფასი, როგორ ემზადება მეურნეობა ციტრუსების გამოსახმორებლად და ბევრი სხვა რამ. ყველა ამ საქმის მიღმა დგანან მოუსვენარი ხასიათის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი, ყაირათიანი მეურნეები სწორედ ასეთები ჰყავდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როცა ამბობდა, სახელმწიფო — ეს ჩვენ ვართო...

შრომის კანონმდებლობის დაცვას ეხება ბეჭდვა გამოქვეყნებული აჭარის ასსრ პროკურორის თანაშემწის თ. ხვედელიძის სტატია. მწრომელთა წერილებისა და საჩივრებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებაზე ამახვილებს ყურადღებას საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწის ბ. მიხაილოვის წერილი, გაზეთი უბრუნდება დაბეჭდილს და ერთხელ კიდევ წერს უპატრონო სახლებზე. აქვე მოთავსებული მასალები აგრეთვე ასახავენ მგზავრთა ავტოტრანსპორტით მომსახურების დაყენებას, სოფლად კინომომსახურების ხარმორჩენის, ახალი ვენახების გაშენების საკითხებს.

კოქსქიმიური საამქრო 10 წლისაა

ასეთი რუბრიკა აქვს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გაზეთ „მეტალურგის" 4 დეკემბრის ნომრის სპეციალურ გვერდს. იგი ქართული კოქსის გამოშვების ათი წლისთავისადმი არის მიძღვნილი.

— 1954 წლის 4 დეკემბერი, — წერს გაზეთში კოქსქიმიური საამქროს უფროსი კ. ქირია, — ჩვენი საამქროს ისტორიაში წითელი ასოებით არის ჩაწერილი. ამ დღეს პირველად იქნა გამოშვებული ქართული კოქსი. ეს იყო არა მარტო ჩვენი ქარხნის მრავალთასანიანი კოლექტივის, არამედ მთელი რესპუბლიკის მშრომელთა ზეიმი".

ყოველ წელს კოქსქიმიკოსები ახალი გამარჯვებით აღნიშნავენ. ისინი წარმატებით ათმოგვენ თავს ძირითად ამოცანას — უზრუნველყოფენ კოქსით საბრძოლედ წარმოებას. მაგრამ მარტო ამითაც კმაყოფილდებიან. საამქროს კოლექტივი თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე ზრუნავს დაკოქსვის ქიმიური პროდუქტების მდიდარი რესურსების გამოყენებაზე. გასული წლების მნიშვნელოვანი ნაბიჯი გამარჯვებას წარმოადგენდა კაზმის მაზუთით გაპოხვა, რის მეოხებითაც გაიზარდა ფისის, बენზოლისა და საკოქსე აირის მიღება.

ქარხანას არანაკლები სარგებლობა მოუტანა პიროლიზის ფისის გამოყენებამ სუფთა बेनზოლის პროდუქტების მისაღებად. ამასთან बेनზოლის პროდუქტების წარმოება გაიზარდა 30 პროცენტით, მიწყობილობის ჩატვირთვა — 40 პროცენტით, წლიურმა მოგებამ კი 100 ათასი მანეთი შეადგინა.

საამქროს ახალარჩეული პარტბიუროს პირველ ნაბიჯებზე ლაპარაკობს თავის წერილში საამქროს პარტბიუროს მდივანი ე. გვენცაძე. ორასი კოქსქიმიკოსი ქალის სისხლსავსე შრომასა და ცხოვრებას ეხება გ. გურნოსოვას სტატია.

სიცოცხლის წყაროები

ოდითვე ასე იყო: მიწიდან ამოღღიდა მინერალური წყლები, იქვე, ტყის პირას, მთაში თუ ბარში, მინდვრად თუ ფერდობზე, ხასხასა ბალახს ეტანებოდა ნახირი. ძოვნით გულს იჯერებდა და მლაშე ტბორს მიადგებოდა მოწყურებული.

იმედით უმზერდნენ ამ წყლებს ჯანმოღღელები მწყემსები. თუ სადმე პირუტყვი დაებნეოდათ, საძებრად შორს არ წავიდოდნენ, წყაროებთან ნახავდნენ, ჩეროში რომ იცოხნიდა დანაყრებული.

მწყემსებმა იცოდნენ მათი განსაკუთრებული მიმზიდველობა და თვითონაც სინჯავდნენ ხოლმე. ხელ-პირს დაიბანდნენ და, თუ ცხელოდა, ტანსაც გაიგრილებდნენ, მომხიდებაო, ფიქრობდნენ. თანაც უკვირდათ, რატომ იყო შეიანგული მიწა, სადაც დღენიადაგ ყონავდა, ჩუხჩუხებდა, ორთქლავდა მარილის მოყვარულ ცხოველთა საამო წყალი.

მინერალურ წყალთა ხშირი სტუმრები იყვნენ ჩვენი ტყიანეთმთიანეთის ფაუნის მშვენებანი — შვლები, ირმები, ჯიხვები, ნიამორები... მათ ბევრჯერ შეხვედრია მონადირენი, მაგრამ სათოფეშდე ვერ მიპპარვიან, ფრთხილი ნადირი გაქცევას ასწრებდა, ტეკნში იმალებოდა.

ქვეყნის ამ ბუნებრივ სიმდიდრეს საბოლოოდ მაინც ადამიანი დაეპატრონება. მან გონივრულად შეიცნო ყოველი წყაროს ავკარგიანობა და ბევრი მათგანი სიცოცხლის უებარ წამლად აღიარა. ხალხს სწამდა სამკურნალო წყალთა სასწაულმოქმედი ძალა და მრავალი ლეგენდა შეუქმნია მათზე. გავიხსენოთ ზოგი რამ:

განა ჯანის მოსაკრეფად, თავისი სიცოცხლის გადასარჩენად არ შესთხოვდა მურმანს — უკვდავების წყალს მასმევდე, ეგებ ცოტა მოვჯობინდეო — ეთერის სიყვარულით დასნეულებული მეფე აბესალომი!

ისიც ხომ ცნობილია, თბილი წყაროების აღმოჩენა დაედო საფუძვლად ხალხურ თქმულებას ჩვენი მშობლიური თბილისის აგებაზე.

„ღმერთმა გვიწყალობა" — იტყოდა ხალხი. გვიწყალობა, ესე იგი მოგვხედა, ყურადღება მოგვაქცია, იგულისხმებოდა ამ სიტყვაში. და ეს, თუ „ღმერთს" გამოვაკლებთ, სავსებით მართებულად არის თქმული ბუნების წყალობის მიმართ. ადამიანი წყალში ხედავდა გვალვისაგან ხსნას, მიწის აყვავებას, ბალ-ვენახის გამოცოცხლებას, და ამიტომაც მღერდა ცის შემყურე: ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი დანამა.

სიცოცხლის ხანგრძლივობის, მართლა უკვდავების წყლებად უცვნია ქვეყანას ბორჯომი, წყალტუბო, საირმე, ცაიში, მენჯი... რამდენია კიდევ მაიზე ნაკლებსახელოვანი, მაგრამ სამკურნალო თვისებებით ფრიად მნიშვნელოვანი წყალი! ავიღოთ თუნდაც კვერეთი, ნაბეღლავი, ლუგელა, ლებარდე, აგრეთვე ჯერ კიდევ სრულიად კეთილმოუწყობელი, მაგრამ ბრწყინვალე მომავლის მქონე ნაქალაქევი — დედამონკას ლეგენდით ' ცნობილი თბილი აბაზანებით.

აქვე მინდა დავძინო, ეს უკანასკნელი თვითონ არის სილამაზის ლეგენდა. სამი მხრიდან ჩაუკრავს გიჟმაჟ მდინარე ტეხურს თავის უბეში, ტორისოდენა ნახევარკუნძულად უქცევია და ნანას უმღერის ფაფარაყრილი ტალღებით. მწვანეში ჩაფლულა პატარა საკოლმეურნეო ავარაკი. ირგვლივ მწვანე გუშაგებად უდგანან ულრანტყიანი მთები. იშვიათი ბალსაველებელი ადგილია, რომ არაფერი ვთქვათ ჯადოსნურ პეიზაჟზე, რომლის მნახველ მხატვარს ძილშიაც კი მოესურვება ბუნების ამ მშვენიერების გადატანა ტილოზე. დროა ნაქალაქევზეც იზრუნოს რესპუბლიკის საკურორტო სამმართველომ.

საქართველოს ტყიან მთებში იბადებიან შესანიშნავი წყლები. ბევრს სახელიც არა ჰქვია, მაგრამ ამით ღირსება როდი დაუკარგავთ. გემოთი, კმკამთი, გვხიბლავენ ისინი, და განა მარტო ამით გვაამებენ! წყალი ამაგრებდა, ძალ-ღონეს ჰმატებდა ადამიანს ქირში თუ ლხინში, შრომაში თუ ბრძოლაში. ამას გვეუბნება ცნობილი ხალხური ლექსიც სვეტიცხოველის მშენებელ დიდოსტატზე:

ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია.

აქ წყალზე როგორც სიკეთის საწყისზე, გამამხნევებელ ძალზეა ლაპარაკი.

და ყოველივე ამის შემდეგ განა გასაკვირველია, რომ დიდებით, სიყვარულით ახსენონ ჩვენი ქვეყნის სამკურნალო წყლები იმ ადამიანებმა, ვისაც ჯანი მისცა, სიცოცხლე გაუხანგრძლივა და ყოვარჯენი გადაადგებინა საქეიფოდ განთქმულმა წყალტუბომ, მოჩუხჩუხე ცაიშმა, ჩვენმა სიამაყემ კვერეთმა, კოლხეთის მიწიდან ამომდუღარე მენჯმა, ჩვენმა სიამაყემ ანუ დედამონკამ (მიყვარს ეს მშვენიერი სახელი, უცაო დამპყრობთან შებრძოლებული პატიოსანი ქართველი დედის გმირობასთან არის დაკავშირებული).

ამ იშვიათი წყლების მშობელი ადგილები ახლა ადამიანთა ჯანმრთელობის საუცხოო კერებად არის აღიარებული. ბევრი თქმულა და დაწერილი მათზე, კვლავაც დაიწერება, მაგრამ ამჟამად მაინც ერთ მათგანზე მინდა ვიესაუბროთ. ეს არის მენჯი — შესანიშნავი კურორტი ცხაკაიას რაიონში.

იგი ქალაქის უბანშია, რკინიგზის სადგურიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით. სამკურნალოდ ჩამოსულთ აქ ღოდინი არ უნდებათ. ყოველ მატარებელს ნვდება კომფორტული ავტობუსი.

— ხომ არავინ დარჩა კიდევ წასაყვანი? — თავაზიანად იკითხავს მძღოლი, მიიხედ-მოიხედავს და როცა მეტ მგზავრს ვერ შეამჩნევს, სანატორიუმისაკენ გაიქრიალებს 'მანქანას.

ეი „კოლხიდაც". ირგვლივ მწვანეშია ლამონისფერი დიდი ნენობა. წინ, გზატკეცილს გადაღმა, შემოდგომას შეუყვითლებია ახალგაზრდა ტეკნი. ფოთლებს აფარფატებს გრილი ნიავი.

ორი ათეული წლის წინათ აქ ჭაობი იყო, მძვინვარებდა ციება. ჭაობი არხებით ამოუშვრიათ, ახოვანი ალვებით დაუმშვენებიათ აქაურობა.

ბუმზერდი. ხეები რატომღაც წაფერდებული მეჩვენა. ეს ზენაქარის ბრალია. დასავლეთისაკენ წახრილან ალვები. ფოთოლი გასცვივნიათ, მაგრამ მაინც ღამაზი სანახავია.

— ეს პატარა ხეივანი მენჯის მომავალი მშვენება იქნება, — გვეუბნება საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი ნოე შონია, — ვინ არ იცის, რომ ტყე ასეფთავებს ჰაერს და საუცხოო სამკურნალო წყალთან ერთად აჯანსაღებს ადამიანს. ამ მხრივ მენჯი სამაგალითოდ ჩაითვლება. პარტია მუდამ ზრუნვით ეკიდებოდა და კვლავაც არ დაიკლებს თავის გულისყურს ჯანმრთელობის კერების უკეთ კეთილმოწყობას.

შედიხართ მისაღებ დარბაზში. რბილ სავარძლებში სხედან და ერთმანეთს უზიარებენ ჰიჭვარამს სრულიად უცნობი ავადმყოფები. ზოგი ვერც დგება-მარტო. მშველელად მედიცინის და ცხადდება.

გულდასმით სინჯავენ თვითეულ ავადმყოფს, სწავლობენ დაავადების ისტორიას სანატორიუმში. სხვაგვარად არც შეიძლება. სახიფათოა აბაზანის მიღება ავადმყოფობის ხასიათის გაურკვევლად. 'სიფხიზლეს ხომ თავი არა სტკივა. საჭიროა ყველამ გიაროს შემოწმების პროცედურა, რასაც გულისხმიერად, ყურადღებით ეკიდება ექიმთა მთელი პერსონალი.

— ყოველწლიურად ათი ათასზე მეტ ავადმყოფს უწევს მკურნალობას გულსისხლძარღვთა და სამოძრაო ორგანოების სპეციალური ტრომბებით, ეგზემით, ინფექციური, ტოქსიკური და ტრავმატული არტრიტებით, კანის და მრავალი სხვა სახის ავადმყოფობით დაავადებულნი, — გვიამბობს სანატორიუმის დირექტორი ვახტანგ ჯაკობია, და, როცა ზოგიერთი სამედიცინო თერმინის გაქართულებას ვთხოვ, ხუმრობით დასძენს, ამას ვრცელი მოხსენების წაკითხვა და მთელი ახსნა-განმარტებითი სიტყვარის შედგენა უნდაო. ავადმყოფი იმკურნალებს მენჯში და უსიტყვოდ გაიგებს აქაური გოგირდწყალბადიანი წყლის ძალასო, — სთქვა მან და თავაზიანად წაგვიძღვა წინ სამკურნალო კაბინეტების, ლაბორატორიების დასათვალიერებლად.

ვნახეთ ჩინებული საბაზანო კორპუსი. საუბარი აქ, ცხადია, მენჯის წყაროებზე ჩამოვარდა.

— ამჟამად ჩვენ ხელოვნურად ვათბობთ ამ შესანიშნავ წყალს, რომელსაც 300-350 მეტრის სიღრმიდან ვიღებთ საქაჩავებით, — მიამბო საბაბანოს მთავარმა ექიმმა დიმიტრი ხორავამ. დიდია მისი მარაგი. გეოლოგების მთელი ჯგუფი მუშაობს ღრმა ბურღვაზე, რომ 3.000-3.500 მეტრი სიღრმიდან მივიღოთ თბილი წყალი. ამ გრანდიოზულ სამუშაოთა შესასრულებლად მთავრობამ უკვე რვა მილიონი მანეთი გაიღო.

ბუნებრივი თბილი მინერალური წყალი, რომელშიც ძირითად მოქმედია გოგირდწყალბადი (ერთ ლიტრში 70 მილიგრამი), ბევრად აამაღლებს მკურნალობის ეფექტურობას. თუ ახლა კურსით 18-20 აბაზანის მიღებაა საჭირო, მაშინ უფრო ნაკლები რაოდენობაც საკმარისი აღმოჩნდება მკურნალობისათვის. თბილი წყაროების აღმოჩენა დიდად შეამცირებს სამეურნეო ხარჯებსაც. ერთი სიტყვით, მშენებლობაზე დაბანდებული სახსრები მალე იქნება ანაზღაურებული. აშენდება ახალი სანატორიუმები, ათეულ ათასობით ავადმყოფს მიეცემა საშუალება იმკურნალოს კეთილმოწყობილ მენჯში. იგი საკავშირო მნიშვნელობის კურორტად იქცევა, ღიმილით დაამთავრა დიმიტრიმ და საწერი მაგიდის უჯრიდან ამოიღო უცნაური მინერალის ნატეხი, — ეი ასეთი რამ ინახება ამ შენობის მიწის ქვეშ, სადაც ოდესღაც ზღვის ტალღები ფრთხობავდნენ. როგორც იცით დროთა განმავლობაში ზღვამ უკან დაიხია, აღმოცენდა კოლხეთი მწვანეტყიანი, ხშირწყვიმიანი, ჭაობიანი, ახლა კი აყვავებული, ბაღნარად ქცეული, — ხატოვნად გვიყვებიან წარსულის ამბავს მენჯში.

მრავალი მხრიდან მოდიან აქ სამკურნალოდ. ვნახე ავადმყოფები შორეული კრასნოიარსკიდანაც, სადაც ახლა თერმომეტრი მინუს — 40 -ზე მეტსაც უჩვენებს. და ეს მაშინ, როცა აქ, სანატორიუმის ბაღში და კოლქეურნეთა ეზოებში ხეებზე ციმციმებენ ჯერ კიდევ მოუკრეფელი ნარინჯები.

ვუსმენდი ავადმყოფთა საუბარს. აქ იყვნენ თავშალმოხვეული ხანში შესული ქალები, ჭაღარა მამაკაცები, სამამული ომის ინვალიდები და სრულიად ნორჩებიც, მშობლებს რომ ჩამოეყვანათ სოფლებიდან, ქალაქებიდან.

— უკვე სამი აბაზანა მივიღე და რაღაც უცნაური ტეხას ვგრძნობ მთელ სხეულში, — ამბობს ერთი.

— მეც ასე ვარ, არ ვიცი, რა მემართება. მეუბნებიან, ტეხა კარგიაო, — დასძენს მეორე.

— ჯერ სადა ხართ, გაიარეთ მთელი კურსი, და მაშინ ნახავთ როგორ ჯანზე დადგებით, — ამაყად, ქმაყოფილებით ამბობს მესამე, ყავარჯნით რომ მოსულა და ახლა თავისუფლად მიმოდის დერეფნიდან დერეფანში.

ბევრი რამ ჩავიწერე უბის წიგნაკში, მაგრამ ყველას აღნიშნვა შორს წაგვიყვანდა. ვისაც უნდა უსმინო სანატორიუმში, ყველა ერთ აზრს გამოთქვამს მკურნალობის შემდეგ: კარგია, უთუოდ კარგია მენჯი!

ვ. ჟურული.

მენჯი, ცხაკაიას რაიონი.

პარტიული აქტივის სკოლა-სემინარი

ცაგერის საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტთან შეიქმნა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების და პარტჯგუფორგანიზატორების ერთწლიანი სკოლა-სემინარი.

ამ დღეებში მოეწყო სკოლის მეცადინეობა. მსმენელებმა მოისმინეს ლექციები თემებზე: „სკკპ საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში", „პარტიული კრება კომუნისტების აღზრდის სკოლაა", „პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა", „პირველადი პარტიული ორგანიზაციის საფაფუაკი მუშაო გეგმა".

სკოლა-სემინარის მსმენელებმა ერთმანეთს გაუზიარეს პარტიული კრების მომზადებისა და ჩატარების გამოცდილება.

ვლ. თოთაძე.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„დრო იწურება, მშენებლები არ ჩქარობენ"

გაზეთ „კომუნისტის" 18 ნოემბრის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა კრიტიკული წერილი ქუთაისის ლითოფონის ქარხნის გაფართოება-რეკონსტრუქციის სამუშაოებში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ.

„კომუნისტის" სპეციალური საგუშაგო გვატყობინებდა, რომ მიუხედავად ამისა, რომ ამ ქარხნის გაფართოებისათვის დიდი მუშაობაა გაწეული, ზოგიერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობაზე გარდატეხა არ მომხდარა. მოყვანილი იყო მთელი რიგი აღმაშფოთებელი ფაქტები რაც, აფერხებს მშენებლობას. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტს. ამასთან დაკავშირებით საქალაქო კომიტეტი გვატყობინებს:

გაზეთ „კომუნისტის" 18 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში „დრო იწურება, მშენებლები არ ჩქარობენ" მოყვანილი **ფაქტები შემოწმებით დადასტურდა.** წერილში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით უკვე გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები. ლაქ-

გულით მლერიან

ადამიანის გმირობას, თავისუფლებას, საბჭოთა კონსტიტუციით მონიჭებულ მაღალ მოკალაკეობრივ უფლებას, სამშობლოს აყვავებას, ნათელი მომავლისაკენ სწრაფვას, ხალხთა მარადიულ ძმობასა და მეგობრობას, ომის ღრუბლების გადარეკვას, მშვიდობის საქმის გამარჯვებას, კეთილშობილურ შრომას, ჩვენი დღეების სიდიადეს უმღერიან გაზეთ „კომუნისტში“ მოღებულ ლექსთა ავტორები, ახალგაზრდა პოეტები, მუშები, კოლმეურნეები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

დროდადრო, როცა საამისო შესაძლებლობაა, რედაქცია აქვეყნებს მათი გულწრფელი შემოქმედების ნიმუშებს ან „ხალხურ საუნჯეში“ ან ცალკე შემოსულ ლექსთა მიმოხილვაში.

ჩვენი გაზეთი მუდამ ცდილობდა და ამჟამადაც ეცდება წაახალისოს ახალბედა ავტორები, ფართო მკითხველ საზოგადოებრიობას გააცნოს ყოველივე კარგი, იდეურად და მხატვრულად გამართლებული, რაც მათ შეუქმნიათ.

აი ესენიც:

ვიდრე ვმოძრაობ, გული არ დრკება,
ლაღად სიმღერას ვინ ამიკრძალავს.
ვგრძნობ, არაფერი არ შეედრება
თავისუფლებას, მშვიდობის ძალას.
საქმით მამხნევებს, უფრო მაკაჟებს
პარტიის ზრუნვა, მისი ნუგეში.
იგი სამშობლოს უზრდის ვაჟკაცებს
და მუდამ ბრწყინავს მშრომელთ
გულებში.

სამსონ რუხაძე,
თბილისი, ავტოსარემონტო ქარხნის მუშა.

ხარობს გული ამ დროებით ნადარი,
შიგ სამშობლოს სიყვარული,ზღვა არი.
მზის ქვეყანა რუსთაველის ქნარია,
აქ ყვავილი ქარშიც დაუმკნარია.
მზეს ეტრფოდა დიდი შოთა მარადა,
ეს ცა ლურჯი მასაც ჩემებრ ფარავდა.
მღერის ტალღაც, სირბილში რომ
მარდია:
საქართველო ხალხის გულის ვარდია.

შალვა კვირიკაშვილი,
სიღნაღი, სოფელი საქობო.

შეხედეთ ყველამ —
ხომალდები სერავენ კოსმოსს,
გემებს ატომი
დაატარებს ხალხის ნებაზე.
კაცობრიობა
დღეს შეჰყურებს მშობლიურ
მოსკოვს,
ხალხთა მშვიდობა
მოქარგულა მის ემბლემაზე.

ვახტანგ კობერიძე,
ცხინვალი, სოფელი თამარაშენი.

მშვიდობის, ძმობის მზე გვათბობს,
პარტიის სიბრძნით ნაწრთობი.
ის არის წინსვლის, შენების
ჩაუქრობელი მნათობი.
შავ ზღვიდან სახალინამდე
მისი სხივები სწვდებიან.
ის ჩემი დიდი სამშობლოს
გამარჯვებათა ფრთებია.

ვალიკო ხუციშვილი,
დუშეთი, სოფელი ხორხი.

არაგვზე გაისმის ხმა აფეთქებების,
ვუყურებ მიწის ქვეშ გაყვანილ
გვირაბებს.
ეს ნიშნავს გულგახსნილ მდუმარე
ქედების,
ეს ნიშნავს ენერგიის ზღვის შექმნის
წინადღეს.
მგონი აქ მოფრინდა პირველი თოლია,
მოფრინდა და ბუდეს ჩვენს გულში
იკეთებს.
პატარა ჩიტია, მაგრამ ჰგავს გოლიათს,
რომ ხედავს სამშობლოს წინსვლას და
სიკეთეს.

იოსებ ყანაშვილი,
ენინალეკესის მუშა.

ამაზე დიდი
სათაყვანო მე რა მქონია,
გული სამშობლოს
სიყვარულში ლხენით მთვრალია.
და დედამიწას
რომ აბრუნებს, ასე მგონია
საბჭოთა დროშით
დარხეული ქარიშხალია.

პანტელეიმონ ოდიშარია,
სოფელი ნოსირი.

არწივების ასაფრენო,
ხარორმების სამეფოვ,
მათბობს შენი სიყვარული,
გული შენ ერთს დაგეთმო.
აბა როგორ არ მიყვარდე,
როგორ არ გეტრფიალო.
მე ილიას ენამ მზარდა,
მინდა სულ გეზმიანო.

იური შევჩენკო,
საბჭოთა არმიელი.

იმღერეთ, მომახმიანეთ
სულ ვაჟკაცური მანდები.
დასჭექეთ ომახიანად:
ჩვენ ქარიშხალზეც დავდგებით!
დაგაგუგუნეთ „სულიკო“,
გადავლო ცხრა ზღვა, ასი მთა...
ხმაში ბულბული სულ იყოს,
სიმღერაც გათბეს აზრითა.
დასჭექეთ, მომახმიანეთ:
გული საგმირად გვიღელავს.
დასჭექეთ ომახიანად
ამ დღეთა ღირსი სიმღერა,

გიორგი გვაზავა,
ქ. ობაში.

წრფელი გულით, სიყვარულით უმღერიან მშვიდობისა და შრომის მტრფიალე სამშობლოს და ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანებს სხვა ავტორებიც, მათ შორის ვ. ამბოკაძე, შ. აღდგომელაშვილი, ა. ბერაია, ა. დავითაძე, შ. დარსაველიძე, ნ. დუშუაშვილი, ხ. გოგოლაური, თ. გოგობია, დ. ბრიცკო, ვ. ენუქაშვილი, ო. თალაკვაძე, მ. ზაუტაშვილი, გ. თორდია, დ. იოსელიანი, მ. კაპანაძე, გ. მარცვალაშვილი, ნ. მაჩიტაძე, ს. პაპოშვილი, კ. კახელი, დ. კობაიძე, ვ. რაინაული, მ. სანიკიძე, ბ. ხორდია, ე. სულთანიშვილი, გ. უტიაშვილი, ა. ქობალია, თ. ქერაული, ნ. წიკლაური, რ. შარია, მ. ჭინჭარაული, ს. ხათაშვილი, დ. ხახიაშვილი, პ. ხმალაძე, ჭ. კოხაძე...

იმედია, სწავლით, ცოდნით, ნაყოფიერი მუშაობით ახალგაზდა ავტორები თანდათანობით აიმაღლებენ მხატვრულ გემოვნებას, იტყვიან თავიანთ სათქმელს, სასურველ წარმატებას მიაღწევენ შემოქმედების ფართო სარბიელზე.

თეატრალური ქრონიკა

△ **გორის** გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრმა 1964-65 წლის სეზონი გახსნა ა. სუმბათაშვილის პიესა „ღალატით“. სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. აბრამაშვილმა, მხატვრულად გააფორმა შ. ხუციშვილმა.

ნ. ჩუბინიძე.

△ **კარბად** მუშაობს ჭიათურის მარგანტრესტის პერევისის მაღაროს მუშათა კლუბის დრამატული კოლექტივი. აქ ამ დღეებში დადგეს ო. რახმანინოვის და ნ. მახარაშვილის პიესა — „ვინ არის მამაშენი?“ (რეჟისორი გ. აბზიანიძე, მხატვრობა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. აბჟანდაძისა).

მ. ხითარიშვილი.

△ **ეკვსი** წლის ისტორია აქვს ტყიბულქვანახშირის ტრესტის დასავლეთ შახტის კლუბთან არსებულ თეატრალურ კოლექტივს. ამ კოლექტივში გაერთიანებულია 15 სეზონისმოყვარე. ისინი ძირითადად მეშახტეები არიან. ახლახან თეატრალურმა კოლექტივმა წარმოადგინა შ. დადიანის პიესა „შვილი ან სიყვარული“, სპექტაკლის რეჟისორია ა. გორგიძე.

ა. არსენიძე.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

თემა — „ქალის მანდილი“

თელავი. (საკ. კორ.). თელავის ქალთა რაიონული საბჭო, რომელსაც პირველი საშუალო სკოლის დირექტორი დ. ბოჭორიძე ხელმძღვანელობს, ნაყოფიერად მუშაობს. იგი ეხმარება მშობელთა და დიასახლისთა სახალხო უნივერსიტეტებს, აწყობს ლექცია-მოხსენებებს საინტერესო საკითხებზე და სხვ.

ქალთა რაიონულმა საბჭომ ამ დღეებში მოაწყო დისპუტი თემაზე: „ქალის მანდილი“. მოხსენებებით გამოვიდნენ მასწავლებლები და იურიდიული დარგის მუშაკები. კ. ხმიადაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ქალი — დედა და აღმზრდელი“; მ. კევლიშვილმა — „ძველი საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე ქალები“; მ. კანანაძემ — „ქართველი რევოლუციონერი ქალები“; სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ გ. მირიმანიშვილმა — „საბჭოთა კანონი ქალის უფლებების სადარაჯოზე“.

მოხსენებათა ირგვლივ დამსწრეებმა აზრები გაუზიარეს ერთმანეთს.

ლამაზია ბაკურიანი. თოვლმა უფრო შემკო და დახატა მისი ტყიანი მთა-გორები, მზიანი დღეა, და რა გული გაუძლებს აქ ჩასულ ახალგაზრდას, რომ თხილამურით არ გაინავარდოს ქათქათა მინდორზე.

ფოტო **შ. კუკულავასი.**

ტამიში — კუბა

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ტამიშის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის კოლექტივმა საპატიო შეკვეთა მიიღო კუბისაგან. წელს გმირ კუბელ ხალხს უნდა დაუმზადოს და გაუგზავნოს 500 კილოგრამი ევკალიპტის ზეთი. ამჟამად მეურნეობა-ქარხანაში წარმოებს ზეთის გაგოსხდა, რაზეც მეურნეობის ყველა მუშაკი განსაკუთრებული მონდომებით შრომობს.

მ. ჭოჭუა.

ბომბი არ აფეთქდება

ვორონეჟი, 15 დეკემბერი. (საკდესის კორ.). მშენებლები ანგრევდნენ კიროვის სახელობის ქარხნის ერთ-ერთი საამქროს ძველ კორპუსს. ამჟამად წარმოებს ამ ქარხნის რეკონსტრუქცია. უცებ ექსკავატორის ციცხვი მოედო რაღაც ლითონის ნივთს: მიწაში აღმოჩნდა დიდი საავიაციო ბომბი.

სამუშაოები დაუყოვნებლივ შეწყდა. სამშენებლო მოედანზე გამოჩნდნენ სამხედრო სპეციალისტები. პიროტექნიკოსმა უმცროსმა ლეიტენანტმა ა. პ. მაკაროვმა, რომელმაც გააუგნებელყო ასობით ბომბი და ჭურვი, დაათვალიერა ეს ათასკილოგრამიანი საავიაციო ბომბი და დაადგინა, რომ მისი ასაფეთქებელი მოწყობილობა განსაკუთრებული კონსტრუქციის იყო. ასეთი კონსტრუქციის ბომბი მას წინათ არ შეხვედრია. მოსკოვიდან სასწრაფოდ ჩამოვიდნენ მაღალკვალიფიციური პიროტექნიკოსები პოლკოვნიკი ი. პ. ნოვიჩენკო და კაპიტანი ნ. ს. ლებედევი. მთელი თავისი მუშაობის მანძილზე მათ მხოლოდ მეორეჯერ უნდებოდათ ასეთი სისტემის ამფეთქებლის განმუხტვა. ასეთივე საავიაციო ბომბი მათ გაუუვნებელყვეს მიმდინარე წლის ოქტომბერში ლენინგრადში.

ორი დღე-ღამის მანძილზე ცივ გრუნტში თავდადებულად მუშაობდნენ მამაცი ადამიანები და გაიმარჯვეს! საერთოდ ასეთი ბომბები მიაქვთ ხოლმე ქალაქგარეთ და იქ აფეთქებენ. მაგრამ დღეს ბომბი არ აფეთქდება. მისი დამრტყმელი მექანიზმი გაუუნებელყოფილია, ამოღებულია ასობით კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება, ბომბის კორპუსი კი გაიგზავნება სამხედრო ნაწილში, საბრძოლო დიდების ოთახში.

გმირობა, კეთილშობილება

„ორშის“ ექიპაჟის გმირობა

შავიზღვისპირა რადიოსადგურებმა საგანგაშო სიგნალი მიიღეს — სოხუმის მცურავი მექანიზებული ამწე და მომსახურე პერსონალი განსაცდელშია, ზღვის ტალღებმა კორპუსი შეანგრია, ამწე იძირება, საჭიროა სასწრაფო დახმარება.

განსაცდელში ჩავარდნილთა დასახმარებლად დაუყოვნებლივ გაემართა ფოთის ნავსადგურის საბუქსირო გემი „ორშა“. ზღვაზე გრიგალი მძვინვარებდა, ქარი წამში 25 მეტრის სიძლიერით ქროდა, კოცისპირულად წვიმდა, ტალღები გემბანზე 5-6 მეტრის სიმაღლეზე გადადიოდა.

მეზღვაურებმა შენიშნეს ტალღების მიერ დამსხვრეული მცურავი ამწე, მაგრამ მასთან მიახლოება შეუძლებელი იყო, რადგან ამწე მერჩჩზე იყო და ბუქსირს იქ მისვლა და მანევრირება არ შეეძლო. მაგრამ მამაცმა მეზღვაურებმა მაინც გაბედეს.

როცა ამწეს დაახლოებით 200 მეტრზე მიუახლოვდნენ, გამოცდილმა მეზღვაურმა ვალიკო კაკულიამ მაშველი თოკი ზუსტად სტაურცნა ამწეს და მოსდო. ფოლადის გვარლიც დაამაგრეს. მძლავრმა ჯალამბრებმა გვარლი დაიხვია, და ამწე მეჩეჩიდან სილრმეში გაიყვანეს.

კაპიტნის პირველი თანაშემწე სევერიანე მალანია და რამდენიმე მეზღვაური ამწეზე გადახტნენ და თან რეზინის მილის ერთი ბოლო გადაიორიეს, რომელიც მაშინვე ამწეს ტრიუმში ჩაუშვეს. ამუშავდა გემის ტუმბოები და ამწედან წყლის ამოტუმბვასა და კორპუსში წყლის დინების შესაჩერებლად დაზიანებული ადგილის შეკეთებას შეუდგნენ.

მამაცი მეზღვაურების თავგანწირვამ გადაარჩინა განსაცდელში მყოფი ადამიანებიც და ამწეც.

ვ. გაგუა.

საღამოს სინათლეზე

რუსთავი, 16 დეკემბერი. (საქდესი). ანა ანდრიას ასული ძახარაძე, წარსულში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშაკი, ახლა პენსიაზეა. იგი ცხოვრობს ქალაქის განაპირას, მაგრამ მას კარგად იცნობენ რუსთაველები. ანა ანდრიას ასული წიგნის დიდი მოყვარულია.

მუშათა უბნის ყველა მცხოვრებს არა აქვს იმის დრო, რომ ბიბლიოთეკაში წავიდეს. მოეთათბირა ქალაქის ბიბლიოთეკის მუშაკებს და ა. მახარაძემ თავის ბინაში მოაწყო მოძრავი ბიბლიოთეკა.

ასობით წიგნი მისცა მან თავის მკითხველებს უკანასკნელ თვეებში. ბევრი მათგანი წიგნის ისეთივე მოყვარული გახდა, როგორც თვით ანა მახარაძეა.

ჰეშმარიტად, ეს მეტად კეთილშობილური საქმეა.

მამაცი პიონერები

ახმეტა. (საკ. კორ.). ისტორიული კვეტერას ციხე-დარბაზების მახლობელ ტყეში ხანძარი გაჩნდა. იგი სოფელ ნადუქნარის რვაწლიანი სკოლის პიონერებმა შენიშნეს. გ. პატარაშვილმა, გ. მასუქაშვილმა, ი. უძილაურმა, ე. ყაჩმაზაშვილმა და სხვებმა თოხებითა და ბარებით ხანძარს გზა გადაუჭრეს, შემდეგ დიდალი მიწა დააყარეს და ხანძარი ჩაქრეს. პიონერებმა სოფლის მაღლობა დიმისახურეს.

ჩემპიონატები • ტურნირები • მატჩები

„ოლიმპიადა“

ათი საუკეთესო მსაჯი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა მორიგ სხდომაზე მოისმინა საკავშირო მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის **ნ. ლატაშვილის** მოხსენება და ამის საფუძველზე დაამტკიცა მიმდინარე წლის საფეხბურთო სეზონის ათი საუკეთესო მსაჯის სია.

ესენი არიან: (ალფაბეტის მიხედვით) **ს. ალიმოვი** (მოსკოვი), **კ. ანდიულისი** (კაუნასი), **ს. არხიპოვი** (მოსკოვი), **ნ. ბალაკინი** (კიევი), **ტ. ბახრამოვი** (ბაკო), **პ. ბელოვი**, **ა. ზვერევი** (ორივე ლენინგრადიდან), **პ. კაზაკოვი**, **ი. ლუკიანოვი** (ორივე მოსკოვიდან), **მ. რუბენისი** (რიგა).

ლიდერთა ჯგუფში სიმჭიდროვეა

მოსკოვში პროფკავშირთა საპაჭარაკო ჩემპიონატის მონაწილეებმა გაიარეს ტურნირის ორი მესამედი, იგრძნობა მოახლოებული ფინიშის სიმძაფრე.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. სტურნირო ცხრილში ორი ქულა ჩაიწერა პლატონოვმა. მან დაამარცხა ილეიცკი და სოლოვიოვი. კიდევ ერთი პარტია წაიგო გროსმაისტერმა ტიმანოვმა, ამჯერად კლოვანთან. ბნაცაკანიანმა მოუგო ესტრინს, ლიბერზონმა — ჩისტიაკოვს.

ათი ტურის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონს **პეტროსიანს** 7 ქულა აქვს, **ბოლესლავსკის, პოლუგაევსკის, სიმაგინს, გიპლერსა** და **ნეის** — ექვსექვსი ქულა, **კლოვანსა** და **ბნაცაკანიანს** — ხუთნახევარ-ხუთნახევარი ქულა.

დღეს ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებენ, ხვალ შედგება მორიგი მეთერთმეტე ტური.

ფრე კანადაში

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის შაბიან ჰოკეისტთა ნაკრები გუნდი ტურნეს მართავს კანადაში. სტარტზე ორი მატჩის ზედიზედ მოგების შემდეგ საბჭოთა ჰოკეისტები ფორტვილენის ონდარიოს პროვინციაში შეხვდნენ ადგილობრივ საკლუბო გუნდ „ლატიხატის“ და შეჯიბრება ფრედ (3:3) დამთავრეს.

დღეს სსრ კავშირის ჰოკეისტთა პირველი ნაკრები განმეორებით მატჩში შეხვდება კანადის ეროვნულ ნაკრებს.

„მოკლეშეტრაქიანი“ ყაიმები

მეჩვიდმეტე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ნ. ალექსანდრია და ნ. გაფრინდაშვილი. მათი პირველი სატურნირო შეხვედრა წელს სოხუმში მეტად საინტერესო ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. გუშინდელი შეხვედრა სულ სხვა ხასიათს ატარებდა. ოთხი მხედრის დებიუტში დაფიდან ზედიზედ გაქრნენ მსუბუქი ფიგურები, შემდეგ მეტოქეებმა ლაზიერებიც გაცვალეს და უკვე მე-16 სვლაზე აღინიშნა ე. წ. „გროსმასტერული ყაიმი“.

ასევე „მოკლემეტრაჟიანი ყაიმით“ დამთავრდა ბ. მოსიონჟიკის შეხვედრა საპრიზო ადგილის ერთ-ერთ პრეტენდენტ ე. რუბაცოვასთან. შავებმა ადვილად გაათანაბრეს მდგომარეობა, მაგრამ შემდეგ მეტოქენი ბრძოლის გამწვავებას არ ცდილან. მე-15 სვლაზე ე. რუბაცოვა ნახევარ ქულას დასჯერდა. ახლა მას ოსტატის წოდების მოპოვების რეალური შესაძლებლობა აქვს.

სრულიად მოულოდნელი შედეგი აღინიშნა ერთ-ერთი აუტსაიდერის ი. გასპარიანცის შეხვედრაში საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონ ვ. ბორისენკოსთან. ვ. ბორისენკომ დროულად ვერ აუღო ალღო მეტოქის საინტერესო მანევრებს და უხარისხოდ დარჩა. შემდეგში ი. გასპარიანცმა გაამარტივა პოზიცია და გაიმარჯვა.

დანარჩენი შეხვედრები მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა, მაგრამ არ დამთავრებულა. მ. რანიკუმ საინტერესო კომბინაციით მოუგო პაიკი კ. ზვორიკინას, შემდეგ მან არ გაითვალისწინა შავების შეტევითი შესაძლებლობები. მაშინ, როდესაც კ. ზვორიკინამ სახიფათო მუქარა შექმნა, იგი მძაფრ ცაიტნოტში მოხვდა და აშკარად „დაეხმარა“ მეტოქეს. ახლა გადადებულ პარტიაში კ. ზვორიკინას მ. რანიკუს საპასუხო „დახმარება“ თუ ეხსნის.

ლ. ვოლპერტი მისთვის დამახასიათებელი მეთოდურობით აგიწროებდა ო. ანდრეევას პოზიციას. შავებმა დათმეს პაიკი, მაგრამ მათი პოზიცია ამით არ შემსუბუქებულა. ახლა ეტლების ენდშპილში ლ. ვოლპერტს მოსაგები პოზიცია აქვს.

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლებს თითქოს შეუმჩნევლად „წამოეპარა“ ნ. კონოპლიოვა. მას ლაზიერების ენდშპილში ორი ზედმეტი პაიკი და მოგების შანსები აქვს ო. რუბაცოვასთან. ზ. ნახიმოვსკაია, ეტყობა, მოუგებს რ. ჯაპნიჩნაიას. მახაც ორი ზედმეტი პაიკი აქვს. გადაიდო აგრეთვე ა. ჩაიკოვსკაია-ო. კაცკოვას, რ. კაზმინა-ა. ერგლუსა და უ. კურე-ე. ბიშარდის პარტიები. ამ შეხვედრებში ხანგრძლივი ბრძოლაა მოსალოდნელი.

შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურიღა დარჩა. კვლავინდებურად ლიდერია **ნ. ბაზრინდაშვილი**, რომელსაც 13 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. 12 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს ე. **რუბაცოვას**.

საპრიზო ადგილების დანარჩენი პრეტენდენტების სატურნირო მდგომარეობა ჯერჯერობით ფრიად ბუნდოვანია. **ნ. ალექსანდრიას, ვ. ბორისენკოს** და **ნ. კონოკლიოვას** 10-10 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, **მ. რანიკუსა** და **ლ. ვოლპერტს** — 9,5 ქულა და სამ-სამი გადადებული პარტია.

დღეს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გადადებული პარტიების გაიმართება გადადებდამთავრება.

გ. გამრეკელი.

ორი გამარჯვებული

ბაკო, 16 დეკემბერი. (საკდესის კორ.). დამთავრდა ბაკოს მოუადარაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც 20 დღეს გაგრძელდა. უკანასკნელ ტურამდე ვერ გამოვლინდა გამარჯვებული. მხოლოდ მაშინ, როცა ბოლო დღეს ვ. ბაგიროვმა მოუგო ლ. ლისტენგარტენს, ხოლო ვ. ანტონინმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა რ. ნეიმეტდინოვთან (ყველა სსრ კავშირიდან), შესაძლებელი გახდა შედეგების შეჯამება. პირველი-მეორე ადგილები გაინაწილეს **ბაგიროვმა** და **ანტონინმა**, რომლებმაც 9-9 ქულა შეაგროვეს 12-დან.

უცხოელ სტუმართა შორის საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ბ. რაბარმა (იუგოსლავია), რომელმაც ექვსი ქულით მეშვიდე ადგილი დაიკავა ,და გუიდო კაპელმა (იტალია), რომელმაც მოიპოვა ბრიზი საზღვარგარეთელი მოუადარაკის საუკეთესო შედეგისათვის ტურნირის საბჭოთა მონაწილეებთან შეხვედრებში.

„მინიმალური ტემპერატურა გასულ ღამეს... გროდნუნი იყო. ხვალ პროგნოზების ცენტრალური ინსტიტუტის ცნობებით მოსალოდნელია...“

სხივი ეძებს ელჭექს

ამინდის ნაკრები ცნობა რომ შეადგინოს, პროგნოზების ცენტრალური ინსტიტუტი მოსკოვში ადგილის სხვადასხვა კუთხიდან მიღებულ ათასობით დეპეშას ამუშავებს. ტელეგრაფი, ტელეფონი, ავტომატური რადიოსადგურები გადმოსცემენ საჭირო ცნობებს ჰაერის ტემპერატურის, ქარის მიმართულებისა და ამინდის სხვა პირობების შესახებ. ცნობები მოდის კოსმოსიდანაც — ხელოვნური მეტეოროლოგიური თანამგზავრიდან.

მაგრამ პროგნოზის შედგენისას ზოგჯერ საჭიროა დაუყოვნებლივ იცოდე, რა ხდება ჰაერის სივრცეში არა ათასობით კილომეტრ მანძილზე, არამედ სულ ახლოს, სადმე ზაგორსკის, ზვენიგოროდის თუ დმიტროვის რაიონში.

როგორ მივიღოთ ეს ცნობები მალე?

— ჩვენ გვეხმარება რადიოლოკატორი, — გვითხრა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ვალენტინა ჩერნოვამ, — „რადიოთვალი“ ხედავს მსხვილწვეთოვან ღრუბლებს — კოკისპირული წვიმებისა და ელჭექის მატარებლებს.

დარბაზში, სადაც ხვალისთვის ამინდს წინასწარმეტყველებენ, ტუმბოზე დგას ბატარა შავი ცილინდრი. ეს რადიოლოკატორის ეკრანია. ვალენტინა ჩერნოვამ ანარატურა ჩართო. მოყვითალო ეკრანზე ვიწრო ნარინჯისფერი ზოლი გამოჩნდა. იგი ჰგვენებს, თუ სით „იცქირება“ ახლა რადიოთვალი. ეკრანის ცენტრში ჩანს ნათელი კონტურები, რომლებიც ვეოგრაფიული რუკის ნაკვეთს მოგვაგონებს.

— ჩვენს თავზე ელჭექის ღრუბელია? — ვკითხე ჩერნოვას.

— არა, ეს გარშემო მდგომი შენობებია.

ელექტრონულ „თვალს“ წამები დასჭირდა, რომ მოსკოვის მიდამოები რამდენიმე ათას კილომეტრ ფართობზე მოესინჯა. ელჭექის ფრონტები არ ჩანდა, მხოლოდ კაშირის ახლოს აღინიშნა ორი თეთრი ლაქა — წყლის მსხვილი წვეთებით გაჯერებული ღრუბლები. ელჭექი და ქარიშხალი არ იქნება.

— შემოდგომის ერთ-ერთ დღეს, — გვიამბობს ჩერნოვა, — ეკრანზე სხვა ოფლიციური პირტექნიკოსები პოლკოვნიკი ი. პ. ნოვიჩენკო და კაპიტანი ნ. ს. ლებედევი. მთელი თავისი მუშაობის მანძილზე მათ მხოლოდ მეორეჯერ უნდებოდათ ასეთი სისტემის ამფეთქებლის განმუხტვა. ასეთივე საავიაციო ბომბი მათ გაუუვნებელყვეს მიმდინარე წლის ოქტომბერში ლენინგრადში.

ორი დღე-ღამის მანძილზე ცივ გრუნტში თავდადებულად მუშაობდნენ მამაცი ადამიანები და გაიმარჯვეს! საერთოდ ასეთი ბომბები მიაქვთ ხოლმე ქალაქგარეთ და იქ აფეთქებენ. მაგრამ დღეს ბომბი არ აფეთქდება. მისი დამრტყმელი მექანიზმი გაუუნებელყოფილია, ამოღებულია ასობით კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება, ბომბის კორპუსი კი გაიგზავნება სამხედრო ნაწილში, საბრძოლო დიდების ოთახში.

„ეკონომიკური ინფორმაციის“ ინფორმაციით, ელექტროენერგეტიკის ინსტიტუტმა ელექტროენერგეტიკის ინსტიტუტთან ერთად ელექტროენერგეტიკის ინსტიტუტთან ერთად ელექტროენერგეტიკის ინსტიტუტთან ერთად